შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: **დაუმთავრებელი დანაშაული**

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:**თამარ ბაზაძე**

ნაშრომის ხელმძღვანელი :**ედიშერ ფუტკარაძე**

თბილისი

2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია ---------- 4

Anotation----------5

შესავალი ----------6-8

ლიტერატურის მოკლე მიმოილვა----------8

თავი 1 .დაუმთავრებელი დანაშაული----------12

1.1 დანაშაულის მომზადება----------13-16

თავი 2 . დანაშაულის მცდელობა----------16-19

2.2 შეცდომა დაუმავრებელი დანაშაულის დროს----------19

2.3 განზრახვის სახეები ----------20-23

2.4 დანაშაულებრივი გადაწყვეტილება ----------23

2.5 დაშაულისმცდელობასთან დაკავშირებული თეორიები

----------24-26

2.6 მომზადების და მცდელობის გამიჯვნა ----------26

თავი 3

3.1 დამთავრებული მცდელობა ----------27-28

3.2 დაშაულის მცდელობის კლასიფიკაცია ----------29-31

თავი 4 თანამონაწილეობა ---------- 31-33

თავი 5 თეორიები დანაშაულის მცდელობის ირგვლი----------33-34

თავი 6 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ----------34-36

6.2 ობიექტურობა და სუბოიექტურობა----------36-39

6.3თანამონაწილეობა ხელის აღების დროს ----------39-41

6.4 ნებაყოფლობით ხელის აღება

უვარგისი მცდელობისა და ხელშეშლილი მცდელობის დროს

----------42-44

თავი 7 პროვოკაცია და ნებაყოფლობი ხელის აღება----------44-45

დასკვნა----------45-47

გამოყენებული ლიტერატურა----------48-49

ანოტაცია

ნაშრომი ეხება დანაშაულებრივ ქმედებებს მათ დასჯადობას და რიგ შემთხვევებს როდესაც დანაშაულებრივი ქმედების დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება .

საკვლევი თემის მიზანი დაუმთავრებელი დანაშაულის სახესხვაობების ანალიზსა და კვალიფიკაციას. კერძოდ დანაშაულის მომზადების, მცდელობისა და დანაშაულზე ნებაოფლობით ხელის აღების შემთხვევებს .

პარალელებია გავლებული თემასთან დაკავშირებით ქართულ და გერმანულ სისსხლის სამართლის დოგმებთან მიმართებაში. არის ურთიერთგამომრიცხავი მაგალითებიც და საერთო ნიშნის მქონე საკითხების ანალიზიც .

ნათლად არის მოცემული ის პრობლემური საკითხები, რაც ეხება დაუმთავრებელ დანაშაულს და მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ასევე შედარებაა გაკეთებული დამთავრებულ დანაშაულსა და დაუმთავრებელ დანაშაულს შორის . რადგან რომ არ ვიცოდეთ დამთავრებული დანაშაულის სრუქტურა და სამართლებრივი შეფასება , ვერ ვისაუბრებთ ცალკე განყენებულად დაუმთავრებელ დანაშაულზე.

ნაშრომში განხილულია რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი რაც თვალსაჩინოს ხდის მოცემულ თემასთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო ვარიანტს.

მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დღეს დღეისობით კანონდებლობით გათვალისწინებული ნორმების მოკვლევა და ანალიზი .

ნაშრომში დაყენებულია დანაშაულის მომზადებისაგან , დანაშაულის მცდელობის გამიჯვნის პრობლემატიკური საკითხებიც .კვლევის საგანს წარმოადგენს ასევე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პრინციპიც .

კვლევის მიზანია დანაშაულს მცდელობის, დანაშაულის მომზადების და ნებაყოფლობით ხელის აღების განსსაზღვრა, მათ შორის ურთიერთკავშირის დანახვა და ცაკლეულად მათი გამიჯვნა ეთმანეთისაგან .

Anotation

The work is about criminal acts and judgment of crimes . In some cases the falure of this judgment of crimes . The aim of the research is to analyze and quality the character of this unfinished crime.

Namely the preparation of the crime, the attempt and the hand over the crime .

The parallels are related to the topic of the Georgian and German Criminal law

We see the contradictory and also the something issues . We can see clearly the problematic issues about unfinished crimes and criminal laws .

We also see the differences between unfinished crome and almost done crime tipes .

If we don't know the tip of the crime , we can't comment clearly about this criminal offense.

There are practical examples which help us to analyze common issues.

There are norms and analyses according with the Criminal law of Georgia . And the work also deals with defining issues of crime,

Also , the aim of the research is to attempt a crime , prepare a crime and voluntary had over of the offens .

Including the interrelations between them and separation from each other.

შინაარსი

ნაშრომი მიზანმიმართულია დანაშაულის ცნების განმარტების,მისი შემადგენელი ელემენტები ურთიერთკავშირის დამყარების და მათი განმასხვავებელი ნიშანთვისებების გამიჯვნის შესაძლებლობის შეფასებისათვის. დანაშაულის სტრუქტურის ელემენტების სახესხვაობები ნათლად იძლევა იმის დანახვის შესაძლებლობას , რომ მის კვალიფიკაციაზე დავიწყოთ საუბარი. დასჯადობა

არდასჯადობა კი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის საფუძველზეა წარმოდგენილი. დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის ურთიერთკავშირი და სხვაობა მათ შორის დამოკიდებულია დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტურობასა და ობიექტურობაზე. განზრახვის სახესა და ხასიათზე .

ნაშრომის კვლევის მიზანია დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხის ანალიზი . რომელიც გამოიხატება დანაშაულის მომზადების , დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გაანალიზებაში, როგორცქართულ ისე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაშ არსებული თეორიებისა თუ პრაქტიკაში არსებული მაგალითების გამოყენებით და მათი შეჯამებების საფუძველზე.

ვინაიდან ვერ გავიგებთ დაუმთავრებელი დანაშაულის დედააზრს დამთავრებული დანაშაულის არ ცოდნის გამო ნაშრომშ ასევე საუბარია იმის შესახებ თუ რა არის ზოგადად დანაშაული მისი განზრახვის სახესთან ერთად .

კვლევის საგანს წარმოადგენს ის ინსტიტუტები , რომლებიცაა: დანაშაულის მომზადება , მცდელოდა და ნებაყოფლობით ხელის აღება . საუბარია იმაზე თუ რომელი მათგანი იმსახურებს დასჯადობას და რომლის შემთხვევაში თავისუფლდება პირი სისხლისსამართლებრვი პასუხისმგებლობისაგან .

ქართული და გერმანული სისხლის სამართალი თითოეულ საკითხს სხვადასხვანაირად წყვეტს და არეგულირებს, თუმცა რათქმაუნდა რიგ შემთხვევებში ვხვდებით მათ საერთო ღირებულებებსა და ნიშანთვისებებს , დასჯადობასთან დაკავშირებით .

სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი მიუთითებს დამთავრებული დანაშაულის შესახებ. რომელშც განმარტებულიამისი დეფინიცია და დასჯადობის შესაძლო ვარიანტები . საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ისჯება დანაშაულის მომზადება, ამავე კანონმდებლობით ისჯება დანაშაულის მცდელობა , რაც შეეხება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას , ამ შემთხვევაში კანონი სხვანაირად რეგულირდება , ვინაიდან ნორმა პირდაპირ და კონკრეტულად ვერ მიუთითებს დნაშაულზე ნებაყოფლობის ხელის აღების შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯადობის საკითხთან დაკავშრებით. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს ინდივიდუალურად უნდა განიხიოს თითოეული შემთხვევა, დადგინდეს განზრახვა და ბრალელობა, განისაზღვროს პირის

ნებელობა და ასევე გარეშე ძალები და ამის შემდგეგ დადგეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი .

ვინაიდან ხშირად პრობლემას იწვევს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის საკითხები და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ნაშრომში თითოეულ მათგანზე საუბარია ცალ ცალკე რომ ნათლად ჩანდეს მათი დამახასიათებელი ნიშანთვისებები.

კვლევის მიზანია დაუმთავრებელ დანაშაულთან დაკავშირებით გამოიკვეთოს ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით მსგავსებები , ასევე გამოვლინდეს მათ შორის განსხვავება .

ნაშრომში საუბარია უვარგის მცდელობაზე , ასევე შეცდომებზე დაუმავრებელი დანაშაულის დროს . ნაშრომში ასევე საუბარია განზრახვის სახეებზე , რომ არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვები . ტექსტში მოცემულიადაუმთავრებელ დანაშულთან დაკავშირებთ გავრცელებული თეორიები, როგორც ქართულ ისე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში.

ერთ - ერთი თავი კი განიხილავს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის საკითხს .

ნაშრომში მოცემულია უვარგისი მცდელობის შესაძლო შემთხვევები , რომლებიცაა: მცდელობა უვარგისი საშუალებით, მცდელობა უვარგის ობიექტზე , მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ და მცდელობა უვარგის ქმედებით .

ნაშრომში მე-4 თავი დათმობილი აქვს თანამონაწილეობის თემას ,რომელიც რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლით , რაც გულისხმობს , რომ ორი ან მეტი პირი განზრახ, ერთობლივად მონაწილეობენ დანაშულებრივი ქმედების განხორციელებაში . საკითხი დგას ასევე თანამონაწილეების დასჯადობასთან დაკავშირებით .

ნაშრომში განხულულია და მაგალითად არის მოყვანილი სისხლის სამართლის პრაქტიკაში არსებული რამდენიმე შემთხვევა, რისი დახმარებითაც ხაზი ესმევა მთავარ თემასთან დაკავშირებული საკითხების თვალსაჩინოდ გამოხატვას .

მაშასადამე მოკლე მიმოხილვის შემდეგ , კარგი იქნება ფართოდ გავშალოთ თემები, დავინახოთ პრობლემური საკითხები და შევაჯეროთ აზრები, რაც მოგვცემს ამ თემასთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანის კარგ შესაძლებლობას .

ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

ნაშრომის დაწერის დროს ვიხელმძღვანელე რამდენიმე ლიტერატურით ,ვინაიდან ნათლად იყო მოცემული საკითხის ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. თინათის წერეთლის ავტორობით სახელმძღვანელოში ფართოდ იყო განხილული საკითხი დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაზე , ასევე კარგად ჰქონდა გადმოცემული საკითხის პრობლემატიკური საკითხები გამყრელიძეს, გამოყენებული მაქვს ასევე თოდუასა და ტურავას (ზოგადი ნაწილი) სახელმძღვანელოები.

ვიხელმძღვანელე ასევე ნორმატიული მასალის დახმარებით , ასევე რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით დავიხმარე დისერტაცია ლევან ხარანაულის და შევეცადე ერთობლოაში მომეყვანა ეს ყველაფერი

თავი 1 .

დაუმთავრებელი დანაშაული

სანამ კონკრეტულად დაუმთავრებელ დანაშაულზე ვისაუბრებდეთ , მიმოვიხლოთ ზოგადადთუ რა არის დანაშაული.

დანაშაული არის სისხლისსამათლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. დანაშაულის სისტემისელემენტებიკი იყოფა შემდეგნაირად : ქმედების შემადგენლობა, მათლწინააღმდეგობა და ბრალი.

ქმედების შემადგენლობა შედგება ორი ნაწილისაგან , ესენია ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობები. ქმედების შემადგენლობის განხორციელებისათვის აუცილებელია კანონით დაცული სიკეთის ხელყოფა .

დანაშაულიგულისხმობს სისხლისსამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას . სიმძიმის მიხედვით დანაშაული იყოფა სამ კატეგორიად, ესენია : ნაკლებად მძიმე დანაშაული , მძიმე დანაშაულიდა განსაკუთრებითმძიმე დანაშაული .

იურიდიულ ლიტერატურაში განზრახი დანაშაულის ჩადენის ოთხი სტადია არსებობს :

1. განზრახვის გამომჟღავნება
2. დანაშაულის მომზადება
3. დანაშაულის მცდელობა

4. დამთავრებული დანაშაული

დანაშაულებრივი ქმედება შეიძლებაჩადენლი იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით . როდესაც პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების არაკანონიერება და დაუშვებს ქმედებისგან შედეგის დადგომას ,ამდროს სახეზეა პირდპირი განზრახვა .,ხოლოროცა პირიგულგრილად ეკიდება შედეგის დადგომის შესაძლებლობასამ შემთხვაში სახეზეა არაპირდაპირი განზრახვა . [1]

დანაშაულებრივ ქმედებას გააჩნია ორი მხარე: გარეგნული ანუ საგნორივ-ფიზიკური და შინაგანი ანუ ფსიქოლოგიური . დანაშაულებრივი ქცევა თავის თავში მოიცავს მოთხოვნილების წარმოშობას , მოტივის ფორმირებას , მიზნის დასახვას , დანაშაულის იარაღის შერჩევას და სხვა დეტალებს.

დანაშაულებრივ ქმედებას გააჩნია ორი ეტაპი : სამოტივაციო (მოსამზადებელი) და პრაქტიკულად განხორციელების .

დანაშაულებრივი საქმიანობა ერთიანი მოტივითა და საერთო მიზნით განხორცილებულ ქმედებათა ერთიანობას წარმოადგენს .

საქმიანობის საერთო მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს ის მიზანი , რომელიც მიიღწევა კონკრეტული ქმედების განხორციელების შედეგად , რა დროსაც დანაშაულის ჩამდენი საქმიანობაში შემავალ ყველა კომპონენტს შეასრულებს .[2]

ფსიქოლოგიურ-კრიმინოლოგიური კვლევების შედეგად დასტურდება, რომ დამნაშავეთა გარკვეული კატეგორია არის სოციალურად და ფსიქოლოგიურად დისტანცირებული საზოგადოებასთან, ასევე ზნეობრივ - სამართლებრივ ღირებულებებთან . მკვლევარების აზრით ზოგიერთი დამნაშავე ვერც კი ხვდება რატომ დასაჯეს, მიუხედავად იმისა რომ იცის კანონი დაარღვია . მეცნიერები ასევე გამოთქვამენ აზრს იმის შესახებ რომ ეს გაუცხოვება მოდის ბავშვობის დროიდან, როდესაც პატარაობიდანვე ვერ შედიან საზოგადოებრივ ურთიერთობებში ბავშვები და ფეხს ვერ უკიდებენ ცხოვრებას ისე , როგორც მისი თანატოლები. ზოგიერთი

[1]სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 9

[2]ლაშა თვაური , კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის , ნაშრომი , თემა: დანაშაულებრივ ქმედებათა ფსიქოსამართლებრივი ანალიზი .

მკვლევარის აზრით კი გაუცხოვება გამოწვეულია ინდივიდის გარიყვის გამო, როდესაც ხდება ადამიანის მიმართ ხშირი ნეგატიური ხასიათის გამოხატულება , მტრული განწყობა საზოგადოების მხრიდან ,ზნეობრივი გაუფასურება და კიდევ სხვა უამრავი შემთხვევის გამო .

რათქმაუნდა გასათვალისწინებელია ორივე შეხედულება ამ საკითხის მიმართ, თუმცა არის ბევრი სხვადასხვა შემთხვევა, როდესაც საზოგადოებაში აქტიური მონაწილე, რომელსაც აქვს თავისი პირადი ცხოვრებაც და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც, ასევე აქვს თავისი საქმე და არანაირად არ არის ბულინგის და სხვა ზეწოლების გავლენის ქვეშ , ჩაიდენს კრიმინალური ხასიათის ქმედებას . ამისტომ საზგასმით იმის თმარომ კრიმინალური ქცევების ჩამდენი ადამიანები რაიმე ზეწოლის ქვეშ არიან ხშირ შემთხვევაში და პატარაობიდანვე დაჩაგრულები და საზოგადოებისგან გარიყულები არიან არ არის მიზანშეწონილი .

მკვლევარ მ.ვალევსკის განმარტების ოსური ჩვეების მიხედვით დანაშაულისმცდელობა იყოსრულად დაუსჯელი . თოფის ჩახმახისათვის თითის გაკვრა მკვლელობის მიზნით, იმ შემთხვევაში თუ ტყვია არ გავარდებოდა ან გავარდნილი ტყვია მსხვერპლს არ მოხვდებოდა ,არ ჩაითვლებოდა სისხლის თხოვნის საფუძვლად. ყველაზე დიდი, ოსეთში ამას მოჰყვებოდა მხოლოდ შესარიგებელი სუფრა, რაც ჩამდენს ეკისრებოდა.[3]

სვანეთში გაბატონებული იყო ობიექტური შერაცხვის პრინციპი და პასუხისმგებლობას არ იწვევდა მცდელობა .

ობიექტური შერაცხვის პრინციპი მოქმედებდა მკვლელობასთან მიმართებაში ხევსურეთში . ხევსურეთის ერთ -ერთი მკვიდრი გადმოსცემს , რომ თუ კაცმა კაცს თოფი ესროლა და ასცდა მსხვერპლს მაშინ სამთელ-სამკვიდროს აიღებდა 5 ძროხას .[4]

პირველ დადგენილებებს დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის შესახებ „ოქტომბრის დიდი რევოლუციის“ შემდგომ მიღებულ დეკრეტებში ჰქონდა ადგილი.

[3]ლევან ხანაული, დისერტაცია , გვ 19
[4]დავითაშვილი 2010. გვ 297-299

1919წლის 12 დეკემბრის „ სახელმძღვანელო საწყისებში“ მოცემული იყო დანაშაულის მომზადების და მცდელობის ცნებები, კერძოდ საწყისების მე-19 მუხლის მიხედვით დანაშაულის მომზადებად შეიძლება ჩათვლილიყო დანაშაულის ჩასადენად რაიმე საშუალების შეძენა ,ანდაც მომარჯვება , ხოლო მე-18 მუხლის მიხედვით კი დანაშაულის მცდელობაში მოიაზრებოდა მოქმედება,რომელიც მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად , როცა პირმა შეასრულა ყველა ის პირობა , რაც მას აუცილებლად მიაჩნდა რომდამდგარიყო თავისი დანაშაულებრივი ქმედებისგან გამოწვეული შედეგი ,მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეების გამო ვერ განხორციელდა დასახული მიზანი .[5]

დამთავრებულ მცდელობასთან ერთად დაუმთავრებელი მცდელობა უკვე მოიაზრებოდა საბჭოთა კავშირის 1922 წლის პირველ სისხლის სამართლის კოდექსში.

საქართველოში სისხლის სამართლის მეორე რეფორმა მე-20 საუკუნის 50-იან 60-იან წლებში გატარდა. მიიღეს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი , რომელიც ამოქმედდა 1961 წლის პირველი მარტიდან, რომელიც მეტად პროგრესული ხასიათით გამორჩეოდა .

პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი იყო კაროლინა . ბამბერგის მოსამართლის, ჰანს რეაცენბერგის მიერ შემუშავებული ეს აქტი, 1870 წლამდე მოქმედებდა როგორც პირველი და ერთადერთი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი . ამ კოდექსის თანახმად , ისჯებოდა მხოლოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულის მცდელობა.

როგორც ქართულ , ისე გერმანულ სამართალში განზრახვის გამომჟღავნება არ წარმოადგენს დასჯად სტადიას . განსხვავებით ქართული სამართლისაგან , გერმანული სისხლის სამართალი დანაშაულის მომზადების სტადიას ტოვებს დაუსჯელს .

[5]წერეთელი 1961. გვ 28-29

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებულია დანაშაულის მომზადებიც ცნება . რეალური და კონკრეტული მიზეზების შექმნა აუცილებელია იმისათვის , რომ ქმედება დასჯად მომზადებად ჩაითვალოს . ნებისმიერი საგანი, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩასადენად ითვლება იარაღად და საშუალებად .

დანაშაულის მომზადება დამცდელობა მეტად გავრცელებული და ამავე დროს სადავო საკითხებია. ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში სამართლებრივად უნდა გამოირიცხოს სისხლისსამართლებრივი პასუხსმგებლობა , ხოლო ზოგ შემთხვევაში კი სახეხეა ისეთი ქმედება რომლის დროსაც ვერ აიცილებს სისხლის ამართლის კანონმდებლობა დასჯადობას . მაშასადამეგამიჯნული უნდა იქნას ერთმანთისაგან დასჯადი და დაუსჯელი ქმედებები დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ეტაპებზეც. ამასკიდევ თან ერთვის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.რაც დაუმთავრებელი დანაშაულის კიდევ ერთ სახესა და სტადიას წარმოადგენს . ამის შესახებ შემდეგ თავებში დაწვრილებით ვისაუბრებთ ,მანამდე კი გავნიზილოთ თუ რა სტადიებისაგან შედგება დაუმტავრებელი დანაშაული.

1.1 **დანაშუალის მომზადება**

როდესაც ვლპარაკობთ დანაშაულის იარაღის დამზადება - შეძენაზე ,მხედველობაში უნდა გვქონდეს ამ იარაღით კონკრეტული დანაშაულის ჩადენა . იარაღის მოპოვება მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება დანაშაულის მომზადებად , როცა ეს იარაღი შეძენილია წინასწარ ჩაფიქრებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის . მაგალითად თუ კაცმა შეიძინა იარაღი იმ განზრახით რომ ზოგადად რაიმეში გამოადგებოდა ოდესმე, და კონრეტულ შემთხვევაში განსაზღვრული არა აქვს კონკეტული დანაშაულის ჩადენა ამ იარაღის გამოყენებით , ასეთი იარაღის შეძენა არ ჩაითვლება დანაშაულის მომზადებად .[6]

[6]გამყრელიძე. გვ155

მაგალითად როდესაც ა-მ დაგეგმა ბ-ს მოკვლა და ამისათვის საჭირო იყო რაიმე საშუალება გამოეყენებინა დავინაიდან ცეცხლსასროლ იარაღს ვერ შეიძლენდა გადაწყვიტა სხვა საშუალება ეხმარა, წავიდა და იყიდა „ურო“ . ამ შემთხვევაში ეროს შეძენა ჩაითვლება დანაშაულის მომზადებად , ვინაიდან სწორედ ეს იარაღია ის საშალება რაც დაეხმარებოდა ა-ს დანაშაულის ჩადენაში .მაგრამ იმ შემთხვევაში როდესაც გამოიყენებდა ეროს , რომელიც სახლში ჰქონა ზოგადი მოხმარებისათვის ამშემთხვევაში, ეროს არსებობა არ ჩაითვლებოდა დანაშაულის მომზადებად.

ასევე არ ჩაითვლება დანაშაულის მომზადებად ისეთი ქმედება , როდესაც პირმა დანაშაული ნამდვილად ყაჩაღობის მიზნით ჩაიდინ, მაგრამ დასაყაჩაღებელი ობიექტი არ ჰყავს შერჩეული .

ოთარ გამყრელიძეს მაგალითად მოჰყავს ერთ-ერთი შემთხვევა , რომელიც იყო საქართველოს სასამრთლის პრაქტიკაში. დამნაშავეთა ჯგუფმა იქირავა ოთახი, მოისყიდა კავშირგაბმულობის მუშაკი , და უნებართვოდ დაიწყო ერთ-ერთი კერძო ფირმის სატელეფონო საუბრის მოსმენა ,რითაც დაადგინეს დიდძალი ვალუტის გადატანის დრო და ადგილი , დახვდნენ მანქანას და ყაჩაღური თავდასხმით ფული წაართვეს მოლარეს.[7]

ოთახის გაქირავება , სხვისი საუბრის ფარული მოსმენა, მოსასმენი აპარატის მოწყობა დამოუკიდებელი დანაშაულია. ამავე დროს ეს ყველაფერი ყაჩაღობის მოსამზადებელი მოქმედებებია .

დანაშაულის თანამონაწილეს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს დანაშაულის მომზადებაში თანამონაწილეობისათვის იმ შემთხვევაში , როცა ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია . სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ასევე დაეკისრება იმას , ვინც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად .[8]

[7]გამყრელიძე . გვ 156
[8]სისხლის სამართლის კოდექსი.მუხლი 25 , ნაწილი 7

მეტი თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლიამაგალითად მოვიყვანოთ საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული პრაქტიკა გადაწყვეტილებების მიხედვით .

საქმის #488აპ-16

კ-ნ მ ჩაიდინა ყაჩაღობის , ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით ,სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით , სადგომში შეღწევით ჯგუფური თავდახსმის **მომზადება** . ამავე დროს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა , ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება , ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა და შენახვა .

2015 წლის აპრილის შუა რიცხვებში ერთ-ერი რაიონის რომელიღაც სოფელში ყოფნისას კ-ნ მ და მისმა მეგობარმა ბ-ღ მ მოილაპარაკეს, რომ სხვისი ფულის დაუფლების მიზნით ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ამ სოფელში არსებულ ბენზინგასამართ სადგურს , რომლის დათვალიერებისა და ყაჩაღური თავდასხმის დეტალების დასაგეგმად იმავე თვეში, ტაქსით რომელსაც თავიანთივე ნაცნობი ა-ც მართავდა ,როგორც შემთხვევითი მოქალაქეები მოვიდნენ დასახელებულ ობიექტში . განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით კ-ნ მ და ბ-ღ მ იმავე პერიოდში მოიპოვეს ყაჩაღობის ჩადენისათვის საჭირო ნივთები , კერძოდ კ-ნ მმოიპოვა კუსტალურად დამზადებული ხანჯალი , წებოვანი ლენტები, ხელთათმანები , ქამარი , ნიღაბი და „გოლდსტარის „ მოდელის პისტოლეტის ტიპის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭდითა და ექვსი აირხმოვანი ვაზნით . ბ-ღ მოიპოვა წებოვანი ლენტი, ნიღაბი, ხელყუმბარა და „ მაკაროვის „ მოდელს 4,5 მმ კალიბრიანი #.... პნევმატური პისტოლეტი . ზემოაღნიშნული ნივთები მოათავსეს ზურგჩანთებში და 2015 წლის 3მაისს დღის დაახლოებით 5 საათზე გაემგზავრნენ დაგეგმილისოფლისმიმართულებით , თუმცა სიფლისტერიტორიაზე მოძრაობისას ისინი შეაჩერეს იმერეთის რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს მუშაკებმა , რადროსაც ჩატარებულიპირადი ჩხრეკის შედეგად ამხილეს **დანაშაულის მომზადებაში .**

ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით ბ-ღ მ ჩაიდინა ყაჩაღობის , ესეიგი სხვისი მოძრავი ნივთის , მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით სიცოცსლისა და ჯანმთელობიათვის საშიში ძალადობითა და მუქარით სადგომში შეღწევით ჯგუფური თავდასხმის მომზადება .

ამრიგად მათი დანაშაულებრივი ქმედება ნამდვილად იყო მართლსაწიააღდეგო და არაკანონიერი. თუმცაღა იმის გამო რომ მათ დასახული მიზანი სისრულეში ვერ მოიყვანეს დაბრკოლებისშექმნის გამო , საქმე ეხება დაუმთავრებელ დანაშაულს ,კერძოდ კი დანაშაულის მომზადებას . თუ გავითვალისწინებთ დამნაშავეების მომზადების ხარისხს დანაშაულის ჩადენისათვის , მათ მართლაც ყველაფერი წინასწრ ჰქონდათ განსაზღვრული და დაგეგმილი, მზადყოფნაში იყვნენ დანაშაულის ჩადენისათვის, ასევე ჰქონდათ შექმნილი ყველა ის პირობა, რაც ჩათვალეს საჭიროდ დანაშაულის სისრულეში მოყვანისათვის , რაც გამოიხატებოდა დანაშაულის იარაღების მოპოვებაში და წინასწარ თავდასხმის ტერიტორიის შეთვალიერებაში . ამ კონკეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვსრამდენიმე დანაშაულის ერთიანობასთან , მაგალითად იაღის უკანონოდ შეძენადა ტარება უკვე დამთავრებული დანაშაულია , განსვავებით მათი დაგეგმილი დანაშაულისაგან, რომელიც სისრულეშივერ მოიყვანეს .

საბოლოოდ , საქმე ეხება დამთავრებული დანაშაულის ნაწილსაც , რაც გამოიხატება იარაღის უკანონო შეძენა შენახვაში და დაუმთავებელი დნაშაულის სახეს ყაჩაღობისმცდელობას .

დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება კოდექსის შესაბამისი მუხლით , რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის . კოდექსის მე-18 მუხლზე მითითებით .

მოსამზადებელი სტადიის გასვლისშემდეგ დგებამეორე სტადია , რაც გამოიხატება უკვე განხორციელებულ ქმედებაში. საუბარია დანაშაულის მცდელობაზე. დანაშაულის მომზადებისაგან განსხვავებით ამ სტადიაზე უკვე ამსრულებელი ყველანაირი საშუალებით აღჭურვილი და გეგმისგათვითცნობიერების შემდეგ უდგება თავის დანაშაულებრივ საქმიანობას, კერძოდ განზრახვით ქმედებას, რაც გამოიხატება

სამართლებრივად დაცული სიკეთისათვის საშიშროების შექმნაში და გულისხმობს მიზანმიმართულ სურვილს დანაშაულის დამთავრებისათვის . ამ სტადიას ეწოდება დანაშაულის მცდელობა .

თავი 2

2.1დანაშაულისმცდელობა

მცდელობა მდგომარეობს ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინების უშუალო საფრთხეს ქმნის . რაც შეეხება საფრთხეს , სისხლის სამართლის მნიშვნელობით , ის არის მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა .[9]

ქართულ სისხლს სამართალში დანაშაულის მცდელობა აიხსნება,როგორც დამნაშავის განზრახი მოქმედება,რომელიც უშუალოდ საფრთხეს უქმნის დანაშაულისშემადგენლობით გათვალისწინებულ სიკეთეს ,მაგრამ ის არ იწვევს მის დაზიანებას [10] ზოგჯერ დამნაშავის და ზოგჯერ სხვა მიზეზების გამო [11].

როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის 1 ნაწილშია განმარტებული ,“ დანაშაულს მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება , რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არიქნა მიყვანილი “.

ერთმანეთისაგან განსხვავდება დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა .იმისათვის რომ დავადგინოთ მცდელობა დამთავრებულა თუ არა უნდა ვიცოდეთ მათი განმასხვავებელი ნიშანთვისებები .

იმ შემთხვევაში , როდესაც სუბიექტი ყველაფერს აკეთებს იმისათვის , რაც საჭიროა შედეგის მისაღწევად მცდელობა დამთავრებულია . ხოლო როცა სუბიექტს ჯერ კიდევ

[9]წერეთელი 1961,გვ 102
[10]წერთელი1961,გვ 102
[11]გამყრელიძე2008, გვ160

არ აქვს ყველაფერი გაკეთებული , რაც საჭირო იყომიზნის მისაღწევად , ამ შემთხვევაში სახეზეა დაუმთავრებელი მცდელობა .

ზოგჯერ შედეგის მიუღწევლობა შეიძლება განპირობებული იყოს დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ზოგჯერ კი შესაძლბელია შედეგი ვერგანხორციელდეს უშუალოდ დამნაშავის მიზეზით .

მცდელობად ვერ შეფასდება ქმედება , თუ სახეზე არ არის განზრახვა .

განზრახვა კი სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაიგება შემდეგნაირად. გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით განზრახვა ნიშნავს ცოდნითა და ნებელობით ქმედების შემადგენლობის განხორციელებას .

ლევან ხარანაულს დისერტაციაში მაგალითად მოჰყავს ის შემთხვევა , როდესაცსუბიექტი ჩაიდენს დანაშაულის ნიშნებით გაჯერებულ ქმედებას , თუმცა სრულებით არ ითვალისწინებს ამ ქმედების საშიშროებას და არ უშვებს რაიმე არასასურველი შედეგის დადგომას . როდესაც დედა თავისი რწმენით ატარებს რიტუალს და მაღალსართულიანი კორპუსიდან ხტება თავის ჩვილ ბავშვთან ერთად, და სხვადასხვა მიზეზების გამო ისინი გადარჩებიან, ამ შემთხვევაში დედას სრულებით არ სურს მისი შვილის და ასევე საკუთარი თავის მოკვდინება , უბრალოდ მას რწნენა აქვს იმის რომ ისინი სიმაღლიდან გადმოხტომის შემთხვევაში დაბლა კი არ დაეცემიან , არამედ ცაში გაფრინდებიან. ეს რათქმაუნდა არარეალურია , მაგრამ მისი რწმენის და რიტუალის ჩატარების საფუძველზე დაზუსტებით შეიძლება ითქვას რომ დედას მართლაც არ აქვს წინასწარ განზრახული სიცოცხლის მოსპობა მისთვის და საკუთარი შვილისათვის. სწორედ მსგავს შემთხვევებში ვერ განვიხილავთ ასეთ ქმედებებს , როგორც დანაშაულის მცდელობას .

განზრახვის შინაარსი მოიცავს ცოდნას , ნებელობას და მართლწინააღმდეგობის შეგნებას. [12] მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა გამორიცხავს განზრახვას .

მართლწინააღმდეგობა არის ქმედების წინააღმდეგობა, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის, ისე კულტურული ნორმებისადმი.[13] ხოლო რაც შეეხება

[12]სისხლის სამართლის კოდექსი,მუხლი 9

განზრახვას . განზრახვა სახეზეა ,როცა პირს აქვს დანაშაულის ჩადენის სურვილი და ნებელობა.ამ შემთხვევაში პირს კარგად აქვს გააზრებული , რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო.

მართწინააღმდეგობა არის ორი სახის: ფორმალური და მატერიალური. ფორმალურ მართლწინააღმდეგობას წარმოადგენს ქმედების შემადგენლობაში გამოხატული აკრძალვის დარღვევა, ასევე ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება .

მატერუალური მართლწინააღმდეგობა კი მხოლოდ მაშინ გვხვდება , როცა არ არსებობს არცერთი გარემოება რაც გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას .

როგორც დამთავრებული დანაშაულისას , ასევე დანაშაულის მცდელობისას განზრახვაც ზუსტად ისეთი უნდა იყოს . ვინაიდან ქმედების შემსრულებელი პირის ქცევა მიმათულია იმისაკენ რომ მან ჩაიდინოს დამთავრებული , წინასწარ განზრახული დანაშაული.

როდესაც დამნაშავე გაისვრის იარაღს მეზობლის მიმართულებით მისი მოკვლის გაზრახვით , მაგრამ მან არ იცის ამ ადამიანის ასაკი და მსხვერპლი აღმოჩნდება 18 წელს მიუღწეველი პირი , დამნაშავის ქმედება ამ შემთხვევაში არ დაკვალიფიცირდება როგორც მკვლელობა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, არამედ დამნაშავის ქმედება დაკვალიფიქიდება სისხლის სამართლის კოდექსის 108 - ე მუხლით ,, რომელიც ითვალისწინებს ჩველებრივ განზრახ მკვლელობას .

სუბიექტურ ნიშანს გადამწვეტი როლი უჭირავს ქმედების დამთავრებასა თუ დაუმთავრებლობაზე .

მაგალითად , როდესაც პირს განსაზღვრული აქვს დიდი ოდენობის ფულის მოპარვა რომელიც სახლის ორ სეიფშია განლაგებული და იმ განზრახვით შევა რომ დაეუფლოს ორივე სეიფში არსებულ სრულ თანხას, პირი გახსნის ერთ სეიფს და აიღებს იქ არსებულ თანხას და გაემართება მეორე სეიფისაკენ, და ამ დროს მოხდება მისი დაკავება სახლის მეპატრონის, თუნდაც სხვა ნებისმიერიმიზეზის გამო შეფერხდება მისი მოქმედების განხორციელება, ქმედება ამ შემთხვევაში ვერ დაკვალიფიცირდება დამთავრებულ დანაშაულად , მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ქურდობის ობიექტური

[13]www.jmg.ge

შემადგენლობა . ამ დროს დამნაშავის მიზანი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად მიღწეული , ამიტომ დამნაშავის ქმედება დიდი ოდენობით ქურდობის მცდელობად უნდა შეფასდეს.[14]

2.2შეცდობა -დაუმთავრებელი დანაშაულისას

ერთმანეთისგან უნდა იქნეს განსხვავებული შეცდომის ორი სახე: ფაქტობრივ გარემოებაში დაშვბული შეცდომა და შეცდომა აკრძალვაში.

ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული შეცდომა პირმა შეიძლება დაუშვას თავის საზიანოდ , როდესაც ის შეცდომით ფიქრობს , რომ დამამძიმებელ გარემოებაში ახორციელებს თავის ქმედებას [15].მაგალითად როდესაც დამნაშავე ესვრის პიროვნებას რომელიც არასრულწლოვანი ჰგონია , ნასროლი ტყვია ასცდება მსხვერპლს და მხოლოდ ჯანმრთელობა დაუზიანდება , თან აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ დამნაშავეს ეს პიროვნება არასრულწლოვანი ჰგონია, სინამდვილეში კი სულ ცოტა ხნის წინ მიაღწია სრულწლოვნობის ასაკს . მაშინ დამნაშავის ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 109-ე მუხლით , რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა. ვინაიდან დამნაშავეს მსხვერპლი არასრულწლოვანი ეგონა და მიზანმიმართულად ესროდა მას სიცოცხლის მოსპობის განზრახვით . მისი ქცევა და ქმედება მიზანმიმართული იყო არასრულწოვნის მკვლელობისაკენ.

შეცდობა შეიძლება იყოს ასევე დანაშაულის ჩასადენ საშუალებაში .ასევე შესაძლებელია რომ დამნაშავის მიერ შერჩეული იარაღი თუ საშუალება არიყოს ვარგისი დასახული მიზნის მისაღწევად დაშედეგის გამოსაწვევად .

---

[14]სისხლის სამართლის კოდექსი მე19.177-ე,მუხლი. ნაწილი4 , ქვეპუნქტი ბ

[15]ტურავა 2013, გვ152

დამნაშავემ ასევე შესაძლებელია შეცდომა დაუშვას კანონით აღწერილ შედეგში . მაგალითად როდესაც დამნაშავე თავისი აზრით იპარავს სხვის საკუთრებაში არსებულ რაიმე ნივთს ,სინამდვილეში კი ამ ნივთს პატრონიარ ჰყავს . ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობას . სისხლის სამართლის ლიტერატურაში მსგავსი ტიპის შეცდომას მიიჩნევენ, როგორც შეცდომა დანაშაულის საგანში [16].

ასევე ვხვდებით ისეთ შემთხვევებს როდესაც დაზარალებული ან მესამე პირი შეაცდენს დამნაშავეს . მაგალითად როდესაცდამნაშავე მსხვრპლს დაემუქრა რომ თუ არ მისცემდა ბეჭედს და საყურეებს რომელიც მსხვერპლს თან ჰქონდა სცემდა ან მოკლავდა მას , მსხვერპლმა წინააღმდეგობა არგაუწია და მისცა დამნაშავეს საყურეები და ბეჭედი რომელიც ბიჟუტერია იყო, დამნაშავეს კი ის ძვირადღირებული ოქრო ეგონა, ამ შემთხვევის მაგალითის მიხედვით სახეზე გვაქვს უვარგისი მცდელობა .

2.3 განზრახვის სახეები

არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი (ევენტუალური)განზრახვა .პირდაპირი განზრახვისათვის ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა არის დამახასიათებელი , არაპირდაპირი განზრახვის დროს კი დამნაშავეს არ სურს შედეგის დადგომა . ასევე ვხვდებით განსაზღვრულ , განუსაზღვრელ და ალტერნატიულ განზრახვებსაც. პირველი ორი შესაძლებელია იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვის სახე.

პირდაპირი განსაზღვრული განზრახვის დროს დამნაშავემ ზუსტად იცის , თუ რა შედეგსგამოიწვევს მისი ქმედება .

განუსაზღვრლი პირდაპირი განზრახვის დროს კი პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარი შედეგის მიხედვით წყდება .

ალტერნატიული განზრახვის დროს მეცნიერთა აზრები იყოფა . მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს , რომ ალტერნატიულ განზრახვას ადგილი აქვს მაშინ , როდესაც დამნაშავეს სურს, რომ ორი სხვადასხვა ღირებულების სიკეთიდან ერთ- ერთი დააზიანოს , ამ შემთხვევაში დამნაშავისთვის სულ ერთია თუ რომელი სიკეთე დაზიანდება . მეცნიერთა მეორე ჯგუფი მიიჩნევს, რომ ალტერნატიული განზრახვა

[16]თოდუა , ზოგადი ნაწილი 2007,გვ 308

სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავეს აქვს დამოკიდებულება თანაბარი ღირებულების ობიექტების მიმართს , ასევე როდესაც ასეთი დამოკიდებულება მას გააჩნია სხვადასხვა ღირებულების ობიექტების მიმართ .

კუმულაციური განზრახვის დროს , დამნაშავეს განზრახული აქვს ერთდროულად ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა .

გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით დანაშაულებრივი გადაწყვეტილება დანაშაულის მცდელობის შეუცვლელი ელემენტია . დანაშაულებრივი გადაწყვეტილება დგინდება დამნაშავის განზრახვის მეშვეობით ,რომელიც მიმართულია დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისაკენ .[17]

გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებაში და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ პიროვნებაში დაშვებული შეცდომა გავლენას არ ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე .

ირაკლი დვალიძე , გიორგი თუმანიშვილი და ნინო გვენეტაძეს სახელმძღვანელოში , კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში , განიხილავენ ერთ მაგალითს რომელიც ეხება შეცდობას პიროვნებაში. ერთმა პირმა დაიქირავა მეორე პირი რომ მოეკლა სხვა ადამიანი , მკვლელობა უნდა მომხდარიყო თავლაში, სადაც მსხვერპლი ყოველ შაბათ საღამოს მიდიოდა ცხენების მოსავლელად. შემკვეთმა ამსრულებელს ზოგადად მიაწოდა ინფორმაცია მსხვერპლის აღნაგობასა და ჩაცმულობაზე . ამას გარდა გადასცა მსხვერპლის ფოტო და ასევე უთხრა რომ შაბათს საღამოს იმ პიროვნების გარდა თავლაშ სხვა არავინ მივიდოდა. შაბათს საღამოს ამსრულებელი ჩაუსაფრდა მსხვერპლს თავლაში . რამდენიმე ხნის შემდეგ თავლაში შემივიდა ადამიანი, რომელიც აღნაგობით წააგავდა მსხვერპლს , ამსრულებელმა ისროლა მისი მიმართულებით , მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა რომ ეს ის ადამიანი არ იყოვისმოკვლასაც აპირებდნენ.

ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს პიროვნებაში შეცდომის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი .

[17]ლევან ხარანაული, დისერტაცია , გვ 171.

გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს სამართლის ნორმისათვის სერიოზულ საფრთხეს .

ყოველი მცდელობა მოითხოვს დამნაშავის მიერ დანაშაულის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას , რომელიც დანაშაულის დასრულებისაკენ არის მიმართული .

როდესაც ხასიათდება დანაშაულის მცდელობა , მეცნიერები მიუთითებენ მის პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტორებზე.

რა შეიძლება იწვევდეს მცდელობის ნეგატიურ ელემენტებს?!

1. შედეგის განუხორციელებლობა , ეს არის პირველი მიზეზი, რომელიც გამოწვეული შეიძლება იყოს მცდელობის უვარგისი საშუალების გამოყენებით , ასევე შეიძლება გმოწვეული იყოს უვარგისი ობიექტის მიმართ განხორციელებული ქმედებით .
2. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, როდესაც დამნაშავე შეურაცხადი გახდა დანაშაულის დაწყების წინ და მან გააგრძელე ქმედება ასეთ მდგობარობაში. ამ ვითარებაში დამნაშავეს ობიექტურად განხორციელებული შედეგი ბრალად ვერ შეეფარდება .
3. როდესაც სახეზეა გამამართლებელი ვითარება, შედეგის დადგომის მიუხედავად , ქმედება შეიძება შეფასდეს მცდელობად .
4. იმ შემთხვევაში , როდესაც დამნაშავის ქცევა სინამდვილეში სისხლისსამართლებრივი ქმედებით არ არის მოცული , გამოირიცხება დანაშაულის დამთავრება .

მცდელობის დროს განზრახვა მოიცავს ცოდნასა და ნებელობას . დანაშაულის მცდელობა და დამთავრებული დანაშაული ერთმენეთისაგან განსხვავდებიან ობიექტური ნიშნებით .

ქმედება წარმოადგენს დანაშაულისობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ სახეს ,რომელიც ქმედებასთან ერთად უმოქმედობასაც მოიცავს . ქცევის სუბიექტური მხარე ადამიანის ქმედებაში განსაზღვრულ მიზნებსა და მოტივებს მოიცავს . ობიექტური მხარე კი ნიშნავს ადამიანის ზემოქმედებას ობექტურ გარესამყაროზე ნებისყოფის

გარეგან გამოვლინებით, რომელსაც ადგილი აქვს მოქმედებაშიც და უმოქმედობაშიც .[18]

სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია ქცევა , რომელიც არ ხასიათდება ნებელობით . მაგალითად სისხლისსამართლებრივ ინტერესის საგანსარ წარმოადგენს რეფლექსური მოძრაობა , ვინაიდან ამ დროს ნებელობა სრულიად გამორიცხულია .იგივე შეიძლება ითქვას დაუძლეველი ძალის შემთხვევაში განხორციელებულ მოქმედებებზე .

მცდელობის სახეებად დაყოფის მნიშვნელობას სამი პოზიცია აფასებს , რომელიც გამოიყოფა სისხლის სამართლის დოგმატიკაში .

პირველ პოზიცის თანახმად მცდელობის სახეებად დაყოფა ხელოვნური და არაბუნებრივია . ამ პოზიციის მიხედვით , მცდელობის დაყოფას დამთავრებულ და დაუმთავრეელ მცდელობად , არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ გააჩნია .

მეორე პოზიცია მიიჩნევს , რომ შინაგანად წინააღმდეგობრივია ტერმინი დაუმთავრებული მცდელობა ,, ვინაიდან მცდელობა უკვე თავისთავად მოიცავს დამთავრებულ მოქმედებას . ეს პოზიცია არ იზიარებს მცდელობის სახეებად დაყოფის პრინციპს .

მესამე პოზიცია სწორად აღნიშნავს იმას , რომ დაუმთავრებელი მცდელობა უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს , რადგან ამ დროს უფრო ნაკლები ზიანი ადგება სამართლებრივ სიკეთეს.[19]

სასამართლო პრაქტიში , მიუთითრებენ იმის შესახებ , რომ ქმედების დანაშუალის მცდელობად შეფასებისას განზრახვის დადგენას და მისი შინაარსის განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.მკვლელობის მცდელობად კვალიფიკაციის დროს სასამართლომ უნდა დაადნოს , დამნაშავე ითვალისწინებდა თუ არა სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას, სურდა თუ არა ეს შედეგი .

მცდელობად ვერ შეფასდება ისეთი ქმედება , რა დროსაც განზრახვა არ არის სახეზე .

[18]ლევან ხარანაული , დისერტაცია . გვ 191
[19]დვალიძე , ზოგადი ნაწილი (2007) გვ 164

განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი გამიხატება ობიექტური გარემოებების აქტიურ ცოდნაში.

ინტენსიურობა გულისხმობს იმას, რომ საკმარისია დამნაშავეს ქმედების შემადგენლობის განხრციელება შესაძლებლად მიაჩნდეს .შეცდომის პრობლემაზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავემ დანაშაულის ჩადენის დროს ობიქტი წარმოიდგინა ინდივიდუალიზირებულად, მაგრამ მიუხედავად ამისა მიზანს ვერ მიაღწია .

2.3 **დანაშაულებრივი გადაწყვეტილება**

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში საუბარია იმის შესახებ, რომ „დანაშაულებრივი გადაწყვეტილება“ დანაშაულის მცდელბის შეუცვლელი ელემენტია , რაც მიუთითებს იმაზე, რომ როდესაც ქმედებას აკლია დასახლებული ობიექტი, ამ შემხვევაში შეუძლებელი იქნება მცდელობის უმართლობის დასაბუთება.

დანაშაულის მცდელობა მოითხოვს სრულ ობიექტურ შემადგელობას , ამ დრო განზრახვა ორიენტირებული უნდა იყოს ობიექტური შამადგენლობის ყველა ნიშანზე .

ქმედების სრული ნება იმ შემთხვევაშია სახეზე, როდესაც დამნაშავე ითვალინებს დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობას .

დანაშაულის მცდელობის დროს აუცილებელია სახეზე იყოს დანაშაულის ბოლომდე განხორციელების ნება . სხვა შემთხვევაში განზრახვას არ ენება ადგილი.

განზრახვის კოგნიტური ელემენტი კი გულისხმობს დამნაშავის წარმოდგენას იმის შესახებ , რომ ადგილი აქვს განსაზღვრული დანაშაულის ანდაც დაცდომის უმართლობას.

2.4 **დანაშაულის მცდელობასთან დაკავშრებული თეორიები**

თეორიები იყოფა კლასიკურ და თანამედროვე თეორიებად . ისინი თავის თავშიმოიცავენ სხვადასხვა თეორიებს . განვიხილოთ რამდენიმე თეორია.

ობიექტური თეორიები ფოიერბახის მოძღვრებიდან იღებენ სათავეს . ფოიერბახს დანაშაულის მცდელობად მიაჩნია ქმედება , რომელიც მიზეზობრივ კავშირშია განზრახ დანაშაულთან და ასევე შეიცავს ობიექტურ საშიშროებას . ფოიერბახის აზრით აუცილებელი იყო დანაშაულის მომზადების დასჯადობა . ამით სახემწიფო თავიდან აიცილებდა დანაშაულს . სასჯელის მუქარის გავრცელებას ქმედებებზე , რომლებიც ჯერარ მიეკუთვნება დანაშაულს , მაგრამ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის წინაპირობებია სჭირდება დასაწყისშვე ამოკვეთა . ეს დასკვნა მომდინარეობდა ფოიერბახის **ფსიქოლოგიურ იძულების თეორიიდან.**

ფოიერბახის მოწაფე მიტერმაიერი თვლიდა რომ ფოიერბახის თეორიებს ჰქონდა ნაკლოვანებები . მიტერმაიერის აზრით დაუსჯელი მოსამზადებელი ქმედება იყო დანაშაულის იარაღის დამზადება . მისი აზრით დანაშაულის მცდელობა სახეზე იყო, მხოლოდ მანდაშავის მიერ დანაშაულის იარაღის გამოყენებისას .

ზახარია, რომელიც ასევე იყო ფოიერბახის მოწაფე , არ ეთანხმებოდათავის ხემძღვანელს, მეტიც , აკრიტიკედა მის შეხედულებებს საკითხის მიმართ . ზახარია მიიჩნევდა , რომ ყოველგვარ მცდელობაში არ ირღვეოდა კანონი .

იმის გათვალისწინებით , რომ უვარგისი მცდელობის დროს არ არის სახეზე საფრთხე ობიექტური თეორიის მიხედვით ასეთი მცდელობა დაუსჯელად რჩება .

მცდელობის პირობათა თეორია ერთმანეთისაგან მიჯნავს პირობას და მიზეზს . ეს თეორია მცდელობას მიაკუთვნებს დანაშაულის შემადგენლობის წინ მდგომ ქმედებებს , ხოლო დაუსჯელ მოსამზადებელ ქმედებებად განიხილავს შორეულ ქმედებებს , რომელიც დანაშაულის ჩადენას მხოლოდ შესაძლებელს ხდის.

დანაშაულის შემადგენლობის ნაკლულობის თეორიის მიხედვით , მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი დანაშაულის მცდელობას ,როცა დანაშაულის შედეგი არ არის სახეზე .

ხელყოფის თეორია საფრთხით თეორიის ერთ- ერთ სახეს წარმოადგენს . ამ თეორიის თანახმად , მცდელობის დადგენის გადამწყვეტ ნიშნად მიიჩნევა ხელყოფის არსებობა .მეცნიერ მაქს ერნტს მაიერის შეხედულების მიხედვით , ხელყოფის პირველივე აქტი წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას

, ხოლო ხელყოფის განსასაზღვრად მაიერი ასახელებს აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების მომენტს .

რაც შეიძლება ითქვას ობიექტური თეორიის შეფასების შესახებ არის ის , რომ ის მცდელობის დასჯადობის სამართლებრივ საფუძველს , ხედავს ქმედებს ობიექტთან ახლოს მდგომ საფრთხეში. ასევე ობიექტურმა თეორიამ უარყო უვარგისი მცდელობის დასჯადობა .ობიექტური თეორიის მიხედვით განისაზღვრება მცდელობისათვის სასჯელის სავალდებულო შემცირება , როდესაც შედეგის არ არსებობა გვხვდება სახეზე .

სუბიექტური თეორიების მიხედვით დანმაშავის სუბიექტური ნება არის ყველაზე მთავარი . დასჯადობის წინაპირობას კი წარმოადგენს , დანაშაულებრივი საქმიანობა. სუბიექტური თეორიების ფუძემდებლად სახელდებამეცნიერი **ბური.** მისი მოძღვრების თანახმად მცდელობაში არ გაიგება რეალურად, ობიექტურად , დაუმთავრებელი ქმედება .მცდელობისათვის გადამწყვეტ ნიშნად მეცნიერი ბური აფასებდა ხელყოფისკენ მიმართულ ნებას. ბური იყო იმ მეცნიერთაგან ერთ - ერთი რომელიც ირეალურ მცდელობას მიიჩნევდა დასჯადად .

ბიკელმანი არის **„მოწონების თეორიის“** წარმომადგენელი . ბიკელმენის აზრით დანაშაულის მცდელობა მაშინ არის სახეზე , როცა დანაშაულებრივი განზრახვა გაუძლებს კრიტკული სიტუაციის გამოცდას .

„დარწმუნების თეორიის“ მიხედვით დანაშაულის მცდელობას მაშინ აქვს აგილი , როცა დამნაშავეს ქმედების ჩადენა ისეთი სიმტკიცით აქვს გადაწყვეტილი, რომ ქმედების განხორციელებაზე უარის თქმა შეუძლებელია.

თეორიები, რომლებიც ადგილს იკავებენ ობიექტური და სუბიექტურ თეორიებს შორის , არის შერეული თეორები . შერეული თეორიები იკავებენ შუალედურ პოზიციებს .

მცდელობის **დუალისტური თეორიის** მიხედვით შესაძლებელია მცდელობა საშიში იყოს როგორც სუბიექტურად ისე ობიექტურადაც , ცალ ცალკე ან ერთობლივად . ამ თეორიის მიხედვით მცდელობის დასჯადობა არ არის დამოკიდებული განზრახვაზე . საფრთხის შესახებ დამნაშავის ცოდნას მხოლოდ ბრალისათვის აქვს მნიშვნელობა .

არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებიც ქართველი მეცნიერების მიერ არის დაფუძნებული და ბევრი ქართველი კანონმდებელი იზიარებს ამ თეორიების ნამდვილობას და სანდოობას . ბევრი მიმდევარიც ჰყავს თითოეულ ამ თეორიათაგან . განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი .

თინათინ წერეთელი დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საფუძვლად,მართებულად „ობიექტურ თეორიას“ მიიჩნევს . მისი აზრით დანაშაულის მცდელობაა ისეთი ქმედება, რომელიც რომელიმე ობიექტისთვის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ზიანის საფრთხეს ქმნის. წერეთლის განმარტებით , „ შესაძლებელია მხოლოდის, რასაც აქვს სინამდვილედ გადაქცევის უნარი“.[20] წერეთელი მიუთითებს იმაზე , რომ დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის რეალურ საფრთხეს ქმნის მცდელობის ცნება , რომელიც მიმართულია დანაშაულის განხორციელებისაკენ . წერეთელი თვლიდა რომ უვარგისი მცდელობა დასჯადი არ უნდა ყოფილიყო.

ობიექტურ თეორიას იზიარებს ასევე გამყრელიძე. მისი აზრით დანაშაულის მომზადების დროს , ადგილი აქვს აბსტრაქტულ საფრთხეს მცდელობის დროს კი საფრთხე კონკრეტულ ხასიათს ატარებს, ხოლო საფრთხე რეალიზებულია დამთავრებული დანაშაულის შემთხვევაში.[21]

ობიექტურ თეორიას სისხლის სამართლის მეცნიერებაში **მჭედლიშვილი- ჰედრიხი** უჭერს მხარს .

ტურავა აკრიტიკებს ცალკეაღებულ ობიექტურ და სუბიექტურ თეორიებს და ყურადღებას ამახვილებს „შერეულ თეორიაზე“ .

ამრიგად,ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია , რომ მცდელობის ცნების ჩამოყაბილებას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საფუძვლად დაედო შერეული თეორია .

---

[20] წერეთელი 1961, გვ110

[21]გამყრელიძე (2008), გვ 161

ასევე თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში შერეული თეორია ყველაზე მეტად მისაღებია .

2.5**მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა**

მომზადებისა და მცდელობის ერთმანეთისაგან გასამიჯნად უნდა გავითცალისწინოთ პირველ რიგში ის, თუ მცდელობის შინაარსი როგორ არის გადმოცებული სისხლის სამართლის კოდექსში .სისხლის სამართლის მე-19 მუხლში მითითებულია მცდელობის ორ ობიექტურ ნიშანზე . პირველი მდგომარეობს იმაში რომ მცდელობა უშუალოდ მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად და მეორე დანაშაული არ უნდა იქნეს მიყვანილი ბოლომდე. განასხვავებენ მცდელობის გამიჯვნის ობიექტურ , სუბიექტურ და შერეულ თეორიებს . ობიექტური თეორიის მიხედვით , ქმედება რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, უნდა გამოიხატოს რეალური საფრთხის შექმნაში .[22] შერეული თეორია სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს ერთად იღებს მხედველობაში. ქმედების მცდელობას შეფასებისას შერეული თეორიის მიხედვით დგინდება არსებული საფრთიხს საშიშროება .

თავი 3

3.1**დამთავრებული მცდელობა**

[22]წერეთელი 1961 , გვ 126

კონკრეტული საფრთხე დანაშაულის მცდელობის ერთ-ერთიმატერიალურ-ობიექტური ნიშანია .

  გერმანული სისხლისსამართლის თეორიის მიხედვით დამთავრებული მცდელობა მაშინ არის სახეზე, როცა დამნაშავემ განახორციელა ბოლო ქმედება თავისი წარმოდგენით შედეგის გამოწვევისათვის . დამნაშავის წარმოდგენაზე დაყრდნობით იმიჯნება ერთმანეთისაგან დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა . დამთავრებულ მცდელობას იმ შემთხვევაშიც კი აქვს ადგილი ,როცა მას შეცდომით ჰქონია რომ შედეგი დადგება. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ , რომ მცდელობა რომ ჩაითვალოს დამთავრებულად აუცილებელია დამნაშავის თვითდაჯერების არსებობა .

ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მცდელობის ათვლის წერტილს განსაზღვრავს დანაშაულის შემადგენლობის წინ მდგომი ქმედებების განხორციელების მომენტი .

წმინდა უმოქმედობის დელიქტებში შესაძლებელი არ არის დანაშაულის მცდელობის დასაბუთება , იმის გამო, რომ ასეთ დანაშაულებში ქმედების შემადგენლობის დაწყებისა და დამთავრების მომენტი ერთმანეთს ემთხვევა .

დამთავრებული მცდელობის დაწყებასთან დაკავშირებით არსებობს სამი შეხებულება .

პირველი შეხებულების მიხედვით დაზარალებული როდესაც ექცევა დანაშაულის ჩასადენად შერჩეული საშუალების ქვეშ მაშინ ჩაითვლება მცდელობა დამთავრებულად .

მეორე შეხედულების მიხედვით დამთავრებულად ითვება მცდელობა წინარე ქმედებაში გადასვლის დროს , მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს მუქარა ან დანაშაულის საშუალების დამზდება .

მესამე შეხედულება შუალედურ კავშირს იჭერს პირველ შეხედულებასა და მეორეს შორის.

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში წარმოიშვა შეხედულება , რომ უმოქმედობით დელიქტებშიც შესაძლებელია დანაშაულის ჩადენა . დანაშაულის მცდელობის დაწყებასთან დაკავშირებით არსებობს ხუთი პოზიცია .

პირველი პოზოციის მიხედვით , მცდელობას ადგილი აქვს მაშინ როდესაც ამოიწურა დაზარალებულის გადარჩენის პირველივე შანსი .

მეორე პოზოციის მიხედვით მცდელობა იწყება მაშინ, როცა დაზარალებულის გადარჩენის ბოლო შანსიც ამოწურულია .

მესამე პოზოცოოს თანახმად უმოქმედობას მაშინ აქვს ადგილი , როდესაც დამნაშავეს ჰგონია რომ მომეტებულ საფრთხეს უქმის დაცულ სამართლებრივ სიკეთეს .

მეოთხე პოზოციის მიხედვით , როდესაც დანმაშავე ბატონობას კარგავს მოვნელებზე , მაშინ ვლინდება მომეტებული საფრთხე .

მეხუთე პოზოციაში საუბარია რომ მთავარი ამ შემთხვევაშ არის დამნაშავის წარმოდგენა , ხოლო არსებითი მნიშნველობა არ გააჩნია იმას ,ნამდვილად ექმნება თუ არა საფრთხე დაცულ სამართლებრივ სიკეთეს .

3.2დანაშაულის მცდელობის კლასიფიკაცია

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 56-3 მუხლის, 1 ნაწილი განმარტავს რომ დანაშაულის მცდელობისათვი სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოებები, რომლის გამოც დანაშაული ვერ მივიდა ბოლომდე . ეს გარემოებები იყოფა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებად .ობიექტურ გარემოებებს მიეკუთვნება შემდეგი: ბუნებრივი მოვლენები, ცუდი ხილვადობა , დანაშაულის საშუალების გაუმართაობა , სამართლებრივი სიკეთის საიმედო დაცულობა .[23]

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით

[23]დვალიძე, ზოგადი ნაწილი (2007) გვ 379

გათვალისწინებული სასჯელისდანიშვნის დებულებები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი კი მიუთითებს დანაშაულის მცდელობის დროს სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების დაუშვებლობას . საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლი არეგულირებს დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხებს , ამ მუხლის მიხედვით აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა დაუსჯელ მცდელობად ცხადდება. ხოლო რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლს ის არეგულირებს მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხებს . სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მიხედვით კი , „ თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია , თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილოებისათვის“ .

უვარგისი მცდელობის გაანალიზების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს , რომ უვარგისი მცდელობის ვიწრო და ფართო გაგება არსებობს. უვარგისი მმცდელობის ვიწრო გაგება გულისხმობს დასჯად უვარგისს მცდლობას , ხოლო რაც შეეხევა უვარგისიმცდელობის ფართო გაგებას , ის დასჯად უვარგის მცდელობასთან ერთად მოიცავს დაუსჯელ უვარგის მცდელობასაც .

უვარგისი მცდელობის შესაძლო შემთხვევებია :

1. მცდელობა უვარგისი საშუალებით
2. მცდელობა უვარგის ობიექტზე
3. მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ
4. მცდელობა უვარგისი ქმედებით

უვარგისი საშუალებაა ყველა ის საგანი ,მოვლენა , ქმედება , ასევე ყველა ის იარაღი, რომლებსაც ობიექტურად არ შეუძლიათ შედეგის გამოწვევა .ყოველივე ეს საშუალება ქმდებას შედეგის განუხორციელებლობის გამო , აქცევს უვარგისმცდელობად. დასჯადია უვარგისი საშუალება ,რომელიც ზოგადად საშიშროებას წარმოადგენს , თუმცა კონკრეტულ ვითარებაში არ აქვს უნარი, რომ

გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი . დაუსჯელია უვარგისი საშუალება, რომელსაც სრუალიად არა აქვს უნარი რომ ოდესმე , ნებისმიერ ვითარებაში გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი .[24]

უვარგისი ობიექტის შეფარდებით უვარგის და აბსოლუტურად უვარგის ობიექტებად არის შესაძლებელი. შეფარდებით უვარგისი ობექტი იმ შემთხვევაში, როდესაც , მისი ხასიათიდან გამომდინარე კონკრეტულ ვიტარებაში ხელი ეშლება შედეგის განხორციელებას , ხოლო რაც შეეხება აბსოლუტურად უვარგის ობიექტს , ამ შემთხვევაში ვითარება შემდეგნაირია: ობიექტს თავის თვისებების გათვალისწინებით საეროდ არ შეუძლია გამოიწვიოს შედეგი, ასე რომ ის გამოუსადეგარია დანაშაულის ბოლომდე მიყვანისათვის .

უვარგისი მცდელობის დასჯადობასთან დაკავშირებით გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ხელმძღვანელობს შემდეგნაირად ,, ის წესრიგდება სსკ - ს 23-ე პარაგრაფით . ამ პარაგრაფის მიხედვით მოსამართლეს აქვს უფლება, რომ დანმაშავე დასაჯოს მსუბუქად ან სრულად გაათვისუფლოს სასჯელისაგან .

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას მცდელობის დასჯადობაზე უარს ამბობს მხოლოს სისხლის სამართლის კოდესის მე-20 მუხლის მიხედვით , აბსოლუტურად უვარგისი საშუალების გამოყენების შემთხვევაში .

უვარგისი საშუალებით განხორციელებულ ქმედებად ისეთი შემთხვევა ჩაითვლება , როდესაც პირს უნდა ვინმე კონკრეტული ადამიანის მოკლვა და პირდაპირი მოქმედებით კი არ აკეთებს მას არამედ თავისი უნებლიე მოქმედებით გამოუვა დასახული მიზნის მიღწევა . მაგალითად როდესაც ა-ს სურს ბ-ს სიკვდილი , მაგრამ იარაღს კი არ უმიზნებს მას არამედ რაიმე ისეთს ეტყვის რაც ბ-ს შეაშინებს და შემთხვეით გული გაუსკდება . ამ და მსგავს შემთხვევებში საქმე გვექნება უვარგისი საშუალებით განხორციელებულ ქმედებასთან.

[24]დვალიძე , ზოგადი ნაწილი (2007) გვ.167.

რაც შეეხება საკითხს , რომელიც ეხება მცდელობას უვარგისი სუბიექტის მიერ,ამ შემთხვევაში პიროვნება შეცდომით ფიქრობს , რომ იგი დამნაშავეა . ასეთი ვითარების დროს სახეზეა შეცდობა სუბსუმციაში , ეს შემთხვევა კანონით არ ისჯება .

ირეალური მცდელობის დროს დამნაშავესარარსებული და მაგიური ძალების დახმარებით ჰგონია, რომ შედეგს მიაღწევს. მაგალითად როდესაც ადამიანს ღრმად სწამს შელოცვის , ჯადოქრობის,დაწყევლის და ამ მოქმედებების საშუსლებით თავს ირწმუნებს და მართლაც სრულიად სჯერა იმისა რომ მიაღწევს დანაშაულებრივი ქმედებით განსღვრულ შედეგს .

იმ შემთხვევაში, როდესაც უვარგის ობიექტზე და ადგილზე არ მყოფ ობიექტზე მცდელობას ერთდროულად ვხვდებით , საქმის გადაწყვეტა ხდება ადგილზე არ მყოფი ობიექტის მცდელობის მიხედვით .

თავი 4თანამონაწილეობა

„ ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“ - ასე განიმარტება თანამონაწილეობა სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მიხდვით . შემთხვევას რომლის ჩადენაც ხდება რამდენიმე პირის მიერ , ანუ როდესაც ამსრულებელი ერთ პირზე მეტია ამ სახის მონაწილეობას თანაამსრულებლობა ეწოდება. ამსრულებლებთან ერთად დანაშაულის განხორციელებაში სხვა პირებიც შეიძლება იყვნენ ჩართულნი . პირი რომელიც აქეზებს ამსრულებელს ანდაც ორგანიზაციას უწევს დანაშაულის დაგეგმვას , ის შეიძლება იყოს წამქეზებელი ანდაც ორგანიზატორი . ხოლო პირი რომელიც კონკრეტულ დანაშაულში ფუნქციონირებს როგორც საქმის შემსრულებელი და დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი ,მას ამსრულებელი ეწოდება. ამსრულებელს შესაძლოა ჰყავდეს დამხმარე. ეს არის პირი , რომელიც ამსრულებელს ეხმარება იარაღის მიწოდებით ანდაც აძლევს რჩევებს ამ საკითხთან დაკავშირებით .

თანამონაწილის დასჯადობა ეფუძნება მიზეზობრიობის მომენტს, ამიტომ ობიექტური მხრივ , თანამონაწილეთა ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოსშედეგთან. [25] ამ ყველაფერთან ერთად გათვალიწინებული უნდა იქნას სუბიექტური მომენტიც. ამ დროს სახეზე უნდა ოყოს განზრახვის ერთიანობა .წამქეზებელი და დამხმარე გარკვეულნი უნდა იყვნენ ყოველ დეტალში, უნდა იცოდნენმიზეზი დანაშაულის ჩადენისა და გეგმიურად უნდა იცოდნენ დანაშაულს ჩასადენად გამოყენებული ყველა საშუალების შესახებ.

როდესაც დადგება თანამონაწილეების პასუხისმგებლობის განსაზღვრის მომენტი, უნდა გაირკვეს , ამსრულებელი ხომ არ გაჩერებულა მცდელობის სტადიაზე, ხომ არ აიღო დანაშაულზე ხელი ნებაყოფლობით ან ხომ არ განაცხადა უარი დანაშაულის ჩადენაზე .

შუალობითი ამსრულებლობის დროს პირს აქვს ნებაზე ან ცოდნაზე ბატონობა [26].

უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების შემთხვევებში თანამომაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის მომზადებისათვის . ამას ეწოდება თვისობრივი ექსცესი . რაოდენობრივი ექსცესის დროს ამსრულებელი პასუხს აგებს ფაქტობრივად განხორციელებული მცდელობისათვის, თანამონაწილე კი დაისჯება წინასწარ შეთანხსმებული დანაშაულის მცდელობისათვის .

სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად , „ თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია , თანამონაწილეს სისხლისსამრთლებრივი პასუხიმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის“

სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე ,მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით , უშედეგო წაქეზება წაქეზების მცელობის ნაცვლად შეფასდება , როგორც დასჯად მომზადებად. ანალოგურად წყდება საკითხი უშედეგო დახმარების დროსაც.

რაც შეეხება გერმანულ სისხლის სამართალს ,მითითებულია თანამონაწილეობის ოთხი ფორმა : შუალობითი ამსრულებლობა, თანაამსრულებლობა , წამქეზებლობა და დახმარება .

---

[25]გამყრელიძე 1989,გვ 89
[26]ტურავა (2013) გვ 336

შუალობითი ამსრულებლობის დროს მცდელობის მომენტი მაშინ დგება, როდესაც „ბრმა იარაღი“ შეუდგება დანაშაულის განხორციელებას .

თანაამსრულებლობის დროს დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს ერთიანი განზრახვით .

როდესაც ძირითადი ქმედება ვერ აღწევს მცდელობის სტადიამდე ადგილი აქვს თანამონაწილეობის მცდელობას .თანამონაწილეობის მცდელობა წაქეზებასა და დახმარებაში გამოიხატება .

თანამონაწილეობის მცდელობას მაშინ აქვს ადგილი , როდესაც ძირითადი მცდელობა მცდელობის სტადიასაც ვერ აღწევს . ასეთ მცდელობას უწოდებენ უშედეგო, ან წარუმატებელ მცდელობას .[27]

გერმანიაში არსებობს პოზიცია ჯაჭვური წაქეზების მცდელობასთან დაკავშირებით, რა დროსაც ერთი პირი უშედეგოდ სთხოვს მეორეს, რომ მან მესამე პირი წააქეზოს მკვლელობის ჩასადენად .

თავი 5

თეორიები დანაშაულის მცდელობის ირგვლივ

5.1 შედეგის საშიშროების თეორია

შედეგით კვალიფიცირებულ დანაშაულებში ძირითადი დელიქტი აუცილებლად დამთავრებული უნდა იყოს. ძირითადი დელიქტის მცდელობის დროს შედეგი ჯერ არ არის სახეზე . შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი წარმოადგენს განზრახ დანაშაულს , ასევე ამ ნორმიდან გამომდინარეობს შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობის შესაძლებლობის საკითხი.

[27]ლევან ხარანაული, დესერტაცია ,დაუმთავრებელი დანაშაული , გვ 314

5.2ქმედების საშიშროების თეორია

შედეგით კვალიფიცირებული დანაშაულის შემადგენლობის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში , თუ ძირითადი დელიქტი შეწყდება მცდელობის სტადიაზე , მაგრამ რაც შეეხება მძიმე შედეგს, ის განხორციელდება. ამ თეორიის მიხედვით , უნდა დაისაჯოს ძირითადი მცდელობის დელიქტი.

5.3 უშუალო კავშირის თეორია

დამნაშავეს მხოლოდ მაშინ შეერაცხება მძიმე შედეგი , როცა სახეზე იქნება უშუალო კავშირის დამყარებისათვის აუცილებელი მოთხოვნები.მცდელობა მაკვალიფიცირებელი შედეგის გამოწვევის დროს უნდა გამოირიცხოს , თუ კი მარტო ძირითადი დელიქტის შედეგს შეუძლია უშუალო კავშირის დამყარება , ვინაიდან მხოლოდ დამთავრებული ძირითადი დელიქტის დროს მტკიცდება ძირითადი დელიქტის შედეგი.

თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერება მოქმედებით ჩადენილ დანაშაულებში დანაშაულის მცდელობას შესაძლებლად მიიჩნევს . მძიმე შედეგებით კვალიფიცირებულ დელიქტებში , სადაც ძირითადი ქმედება განზრახ ხორციელდება, ხოლო თანამდევი შედეგი განზრახ ან გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული, საბუთდება დანაშაულის მცდელობა.

ქართულ სისხლის სამართალში შერეული უმოქმედობით დელიქტების დროს დანაშაულის მცდელობის არსებობა პრობლემას არ წარმოადგენდა .

თავი 6

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის მომზადების სტადიაზე , ასევე შესაძლებელია დაუმთავრებელი მცდელობის დროს.როდესაც პირი დანაშაულზე ნებაყოფლობით იღებს ხელს , სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება . ვინაიდან დამნაშავეს დასახული გეგმა ბოლომდე არ მიჰყავს და არ ზიანდება სამართლებრივად დაცული სიკეთე.

ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით განიხილება სამი თეორია :1) ოქროს ხიდის (კრიმინალ -პოლიტიკური) 2) შეწყალების(წახალისების) 3) სასჯელის მიზნის თეორია .

„ ოქროს ხიდის“ თეორიის მიხედვით დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით ,სახელმწიფომ დამნაშავის მიმართ არ უნდა გამოიყენოს დამსჯელი ღონისძებები , ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში .

რაც შეეხება „სასჯელის მიზნის თეორიას“ , ამ თეორიის მიხედვით სასჯელის მიზანს უნდა ემთხვეოდეს ნებაყოფლობით ხელის აღება .ეს თეორია ითვალისწინებს იმას , რომ დასჯადობა კარგავს თავის მნიშვნელობას , რადგან ნებაყოფლობით ხელის აღების შეხვევაში დანაშაულებრივი ნება სუსტდება .

„ შეწყალების თეორია“ თავის თავში მოიცავს იმას რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემვევაში, დამნაშავე უნდა წახალისდეს , იმის გამო რომ ვინაიდან ის თავისივე ნებით იხევს უკან და დნაშაულზე იღებს ხელს ნებაყოფლობით ,კანონი აღარ ირღვევა და მისი ქცევა აღარ განიხილება, როგორც უკანონო და არამართლზომიერი .

ამ თეორიების მიხედვით იგულისხმება ის ,რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხავს პასუხისმგებლობას .მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, თუ რა მიზეზითა თუ მიზნით აიღო ხელი დამნაშავემ დანაშაულზე.

მხოლოდ იმ შემთხვაშია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუსჯელი ქმდება , როდესაც პირმა საკუთარი ნებით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანისაგან არა იმ შემთხვევაში როდესაც ის იძულებული გახდა აეღო ხელი დანაშაულზე , მაგალითად როდესაც დანმაშავე შესულია სახლში გასაქურდად სიბლენეში რაც ხმაური შენიშნა და დატოვა სახლი ვინაიდან ეგონა სახლში ვოღაც იმყოფებოდა სინამდვილეში კი კატა იყო და დანაშაული ამის გამო არ მიიყვანა ბოლომდე , ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს ნებაყოფლობით ხელის აღებასთან .

დამნაშავეს შესაძლოა გაუჩნდეს კანონისა და ღვთის შეში, შესაძლებელია სიმპათია გაუჩნდეს დაზარალებულის მიმართ , სხვა პირმა უბიძგოს ხელის აღებისაკენ, სიბრალული გაუჩნდეს დაზარალებულის მიმართ , ამ და სხვა შემთხვევაში როცა დამნაშავეს დანაშაული ბოლომდე არ მიჰყავს საქმე ეხება ნებაყოფლობით ხელის აღებას ,ვინაიდან დამნაშავის ნება იყო საბოლოო და მან გადაწყვიტა , რომ დანაშაული ბოლომდე არ მიეყვანა , მიუხედავად იმისა , რომ ობიექტურად მას ჰქონდა შესაძლებლობა დანაშაულის ბოლომდე მიყვანისა.

„ ნებაყოფლობითობაზე“ ვერ ვისაუბრებთ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე არა თავისი ნებით იხევს უკან არამედ იძულებული ხდება დანაშაული სისრულეში არ მოიყვანოს .

დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს არეგულირებს საქართველის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი. ეს მუხლი ითვალისწინებს იმას, რომ თუ პირმა დანაშაულის დამთავრებასზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი , არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა .

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე პარაგრაფი აწესრიგებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებულ ნორმებს. ამ კანონის მიხედვით პირი, რომელიც ხელს შეუშლის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას , ასევე პირი რომელიც უარს იტყვის დანაშაულის შემდგომ განხორციელებაზე , არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

დანაშაულზე ხელის აღება აუცილებლად უნდა იყო ნებაყოფლობითი, ანუ სხვა პირები და გარემოებები არ უნდა ბატონობდნენ მასზე, საბოლოო ხასიათის უნდა იყოს

დანაშაულზე ხელის აღება , რაც მთავარია არ უნდა შეიქმნას საფრთხე. მის შექმნამდე უნდა იქნეს აცილებული თავიდან დანაშაული, სახეზე უნდა იყოს ობიექტური საფრთხე.

6.2 **ობიექტურობა და სუბიექტურობა**

დანაშაულზე ხელის აღება შეიძლება იყოს ობიექტური და სუბიექტური სახის .

ობიექტური მხარე გულისხმობს იმას , რომ დამნაშავემ დანაშაული ობიექტურად ბოლომდე არ უნდა მიიყვანოს.დამნაშავემ ობიექტურად უნდა მოსპოს ქმედების ის ნიშანი,რომელიც მას დამთავრებულ დანაშაულად გადააქცევს [28], მან ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის , რომ შედეგის დადგომა აიცილოს თავიდან .

ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საკმარისი ვერ იქნება მის წარმოდგენაში ობიექტურობის არსებობა. უფრო თვალსაჩინო, რომ იყოს თუ რაც ნიშნავს ეს ყველაფერი განვიხილოთ შემდეგნაირად: როდესაც პირი რომელიც დანაშაულის ჩადენას ფიქრობდა , ახლა უკვე შეცდომით ფიქრობს, რომ საკმარისი იქნება ის საშუალებები რასაც გამოიყენებს ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის , თუმცა შედეგი მაინც დადგება , ამ შემთხვევაში პირი ვერ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.[29]

სუბიექტურ პირობას , ის სუბიექტური ელემენტები წარმოადგენენ , განზრახვის, მოტივისა და მიზნის სახით , რომლების არსებობის გარეშე ვერ დასაბუთდებოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება .

ნებაყოფლობითია დანაშაულზე ხელის აღება მაშინ , როცა ხელს პირი იღებს საკუთარი გადაწყვეტილებით, ავტონომიურად და როდესაც ხელისაღების მიზეზი არ არის რაიმე ობიექტური შემაფერხებელი გარემოება . მაშინაც ნებაყოფლობითია დანაშაულზე ხელის აღება ,როდესაც პირი სინამდვილეში ვერ შეძლებს დანაშაულის განხორციელებას , თუმცა ის დარწმუნებულია იმაში , რომ მის მიერ დაგეგმილ მიზნის მიღწევას ვერაფერი შეუშლის ხელს .

---

[28]წერეთელი 1961, გვ37

[29]მჭედლიშვილი- ჰედრიხი 2011. გვ 97

დამნაშავის სასარგებლოდ წყდება საკითხი , როცა დანაშაულზე ხელის აღების მოტივის დადგება შეუძლებელია, მაგრამ სავარაუდოა,[30] რომ პირი ნებაყოფლობით მოქმედებდა .

სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველზე გამოირიცხება იმ შემთხვვაში , როცა შედეგის გამოწვევა მიზეზობრივად არ არის დაკავშირებული დამნაშავის ქმდებასთან.

პასიური ქმედებით ნებაყოფლობით ხელის აღება სახეზეა იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე გადაიფიქრებს დანაშაულის შემდგომ განხორციელებას და აღარ იმოქმედებს .

ქართულ სისხლის სამართლაში არსებობს პოზიცია, რომლის მიხედვითაც , ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც დაუმთავრებელი ისე დამთავრებული მცდელობის სტადიაზე . მსგავს პოზიციას იზიარებენ გერმანიის სისხლის სამართლში.

პროფესორი თინათინ წერეთელი აღნიშნავდა , „ დანაშაულზე ნებაყოფლობით ,რომ იღებს ხელს პირი , ასე მსჯელობს, მე შემიძლია ბოლომდემივიყვანო დანაშაული, მაგრამ არ მსურს ეს“.

ყველა ადამიანს გააჩნია უნარი იმოქმედოს ნებელობით.თავისუფლება ნიშნავს იმას რომ ადამიანი არის თავისი თავის უფალი , ანუ დაუფლებულია მის ქცევებს , ხასიათს მოქმედებებს ,პასუხისმგებელია მის გადაწყვეტილებებზე .მას გააჩნია უფლება - ვალდებულება გადაწყვეტილებასა და ამ გადაწყვეტილების შედეგის გამოსწორება არგამოსწორებასთან მიმართებაში . როგორც დ. უზნაძე მიუთითებს , იგი „მე“-დან გამომდინარე აქტივობაა, რომელშიდაც სუბიექტის პოზოცია ირკვევა მომავალი ქცევის მიმართ .[31]

ფრანკის მიხედვით , დანაშაულზე ხელის აღება ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს , რომელიც ეყრდნობა ავტონომიურ მოტივებს.

[30] სანდრო გაგაძე, სამაგისტრო ნაშრომი(დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება) გვ 17
[31]სანდრო გაგაძე. სამაგისტრო ნაშრომი (დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება) გვ29

როქსინის გამოთქმული შეხედულების მიხედვით , დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არის ლეგალურობაში დაბრუნების სურვილის გამოხატულება .მისი აზრით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მაშინ არის ნებაყოფლობითი ხასიათის, როდესაც დამნაშავის მხრიდან შემდეგი მოქმედება უაზრობა იქნება . ნებაყოფლობითობის განსაზღვრისათვის , როქსინის მიხედვით გადამყვეტია ის, თუ რამდენად იმსახურებს დამნაშავის ნება დასჯადობას.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს რომ დამნაშავის ქმებას მხოლოდ მაშინ აქვს ნებაყოფლობითი ხასიათი, როდესაც დამნაშავე ზნეობრივად გამოსწორების გზაზე დგას .

ერთანეთისაგან აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს კონკრეტული და აბსტრაქტული შიში, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს .

აბსტრაქტული შიშის დროს , დამნაშავე დანაშაულის განხორციელებაზე უარს ამბობს იმის გამო, რომ ეშინია მომავალში მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაუმღავნების. მას ეშინია მოსალოდნელი სასჯელის . მაგრამ დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულის მცდელობის ან მომზადებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავეს კონკრეტული შიში გაუჩნდება იმის შესახებ, რომ მას დაშაულის ჩადენის დროს წაასწრებენ და თავზე დაადგებიან მესამე პირები , რომლებიც შეიაღებულები იქნებიან და პირი ამ კონკრეტული შიშის გამოწყვეტს დანაშაულის ბოლომდე განხორციელებას . რათქმაუნდა ამ დროს არ არის სახეზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევა.

დამნაშავე თავისუფლდება სასჯელისაგან ხელის აღების გამო იმ შემთხვევაში, როდესაც ის დანაშაულზე ხელს იღებს დაზარალებულის ანდაც მესამე პირის მხრიდან რაიმე დაპირების სანაცვლოდ . ლევან ხარანაულს თავის დისერტაციაში მოჰყავს ამის მაგალითად შემდეგი ქმედება .: ა-მ სცადა ბ-ს გაუპატიურება. ამ ქმედების განხორციელების მიზნით იგი თავს დაესხა ბ-ს , ის ძალადობით მუქარით აიძულებდა დანებებას . ბ-მ რათქმაუნდა უარი განუცხადა ა-ს , ასევე უთხრა რომ ორსულად იყო და არ დაემყარებინა მასთან სქესობრივი კავშირი და მეორე დღესთანახმა იყო მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე . ა-მ დაუჯერა ბ-ს და დათანხმდა იმაზე , რომ არ დაამყარებდა მასთან სქესობრივ კავშირს . მეორე დღეს ა მივიდა ბ-ს ბინაში,რა დროსაც პოლიციამ დააკავა იგი.

ა- ს ჰქონდა არჩევანის გაკეთების საშულება . მას ჰქონდა შესაძლებლობა განეხორციელებინა ბოლომდე დაწყებული დანაშაულებრივი ქმედება , მას არავინ ჰყავდა ხელის შემშლელი. დამნაშავის ქმედება ნებაყოფლობით ხელის აღებად ფასდება, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულის დაპირებამ დამნაშავეს გადააფიქრებინა დაზარალებულთან ძალადობით სქესობრივი კავშირის დამყარება . ამ ვითარებაში ა მოქმედებდა ნებაყოფლობით . ობიექტურად მას ჰქონდა არჩევანის გაკეთების საშუალება.

დამნაშავის ქმედებამ დაკარგა კრიმინალური ხასიათი. ამის გამო მიზანშეწონილი არ არის მისი დასჯა სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე .

ამგვარად , ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით დამნაშავეს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება აქვს იმ შემთხვევაში , ვიდრე დანაშაული ბოლომდე დამთავრდება . იმ შემთხვევაში როცა ქმედება დამთავრდა თუმცა დამნაშავემ მაინც იმოქმედა ნებაყოფლობით , ამისთვის სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არსებობს ქმედითი მონანიების ნორმები. ამგვარად , ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა შეზღუდულია მცდელობისა და მომზადების ნორმებით .[32]

საბოლოოდ , ყოველივე ზემოთ ნახსენები მაგალითიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ ის, რომ ნებაყოფლობის ხელის აღების დასაბუთება სუბიექტური და ობიექტური პირობებით არის შესაძლებელი , ხოლო დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს იმ შემთხვევაში ატარებს , როდესაც ის წარმოიშობა ავტონომიური მოტივების საფუძვლებზე .ასევე აღსანიშნავის ის ფაქტიც, რომ გერმანული სისხლის სამართალი ევენტუალურ განზრახვას მიიჩნევს საკმარისად დანაშაულზე ხელის აღებისათვის .

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას , რომ როდესაც დამნაშავის ქმედებასთან შედეგის გამოწვევა მიზეზობრივ კავშირში არ არის ,გამოირიცხება პასუხისმგებლობა ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით .

[32]ლევან ხარანაული, დისერტაცია , დაუმტავრებელი დანაშაული , გვ 340

6.3თანამონაწილეობა ხელის აღების დროს

ამსრულებლის გარდა თანამონაწილესაც შეუძლია დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღოს ხელი . თანამონაწილეები ავტომატურად არ გათავისუფლდებიან სისსხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე (ამსრულებელი) იღებს ხელს ნებაყოფლობით დანაშაულზე . ინდივიდუალურად წყდება მათი სისხლისსამართლებრივი საკითხი .

სისხლის სამართლის კოდექსის 21- ე მუხლის მე- 3 ნაწილისთანახმად არ დაეკისრებათ პასიხისმგებლობა თანამონაწილეებს შემდეგ შემთხვევებში :

1. თუ თანამონაწილეებმა გადაარწმუნეს ამსრულებელი;
2. ხელისუფლების ორგანოს შეატყობინეს დროულად;
3. ხელი შეუშალეს ამსრულებელსა დასხვა თანამონაწილეებს და არ მისცეს დანაშაულის სისრულეში მოყვანის უფლება;
4. დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვეს ქმედების განხორციელებაზე;
5. დამხმარემ უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება , დანაშაულის დამთავრებამდე;

ამსრულებლის გადარწმუნება , ნებაყოფლობით ხელის აღებად იმ

შემთხვევაში განიხილება, როცა დამნაშავეს გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა, თანამონაწილეები კი შეძლებენ მის დაყოლიებას , რომ არ ჩაიდინოს დანაშაული . მაგალითად , როდესაც ა-მ წააქეზა ბ , რომ გაექურდა გ-ს სახლი , ცოტა ხნის შემდეგ კი ა-მ გადაიფიქრა და დაარწმუნა ამსრულებელი , რომ ხელი აეღო დანაშაულის ჩადენაზე . ასევე როდესაც წამქეზებელს შეცდომით ჰგონია , რომ ამსრულებელი დაარწმუნა დანაშაულის ჩასადენად, ხოლო ამის შემდეგ შეეცდება მის გადარწმუნებას . სინამდვილეში კი ამსრულებელს თავიდანვე არ ჰქონდა განზრახული დანაშაულის ჩადენა , ამის გამო თანამონაწილის ცდა პირველივე ჯერზე უშედეგო აღმოჩნდა

არსებობს ისეთი შემთხვევა, როდესაც წამქეზებელი და თანამონაწილე შეეცდებიან დამნაშავეს ხელი შეუშალონ დანაშაულის განხორციელებაზე და ნებაყოფლობით ხელი ააღებინონ , თუმცა მათი ცდა უშედეგო იქნება ანდაც არასაკმარისი იქნება , რომ დანაშაული არ განხორციელდეს და როდესაც დამნაშავე ნაწილობრივ მოასწრებს დანაშაულის რომელიმე ელემენტის განხორციელაბას,

მაგალითად მკვლელობის განზრახვა ჰქონდა და თანამონაწილეების ძალისხმევის შედეგად ბოლომდე ვერ მიიყვანა დანაშაული და მისი ქმედების გამო ადამიანს მხოლოდ ჯანმრთელობა დაუზიანდა , ამ მაგალითის მიხედვით ორგანიზატორი ან წამქეზებელი ან თანამონაწილე (ნებისმიერი ამ საქმეში გარეული პირი) უნდა დაისაჯოს ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში თანამონაწილეობისათვის .

ფსიქიკური დამხმარე არ არის თავდაპირველი რისკის შექმნის ინიციატორი , ის ხელს უწყობს უკვე არსებულ რისკს განმტკიცებაში .

როცა ამ პირობების განხორციელების საფუძველზე დანაშაულის თავიდან იქნება აცილებული , საქმე გვექნება ამ დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღებასთან. სისხლის სამართლს კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით დამხმარემ აუცილებლად დანაშაულის დაწყებამდე უნდაგანაცხადოს უარი ქმედების შესრულებაზე .

დამხმარე, რომელიც თავდაპირველად თავისი ნებასურვილით ჩაერთო დანაშაულის ჩადენის შესაქმდენად გაერთიანებულ ერთიან ჯაჭვში და ამ ჯაჭვს ვერ აღწევს თავს , მიუხედავად იმისა, რომ ის უკან იბრუნებს დამნაშავისათვის გადაცემულ საშუალებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდება .

თანაამსრულებელმა დანაშაულზე შეიძლება ხელი აიღოს , როგორც მოქმედებით , ისე უმოქმედობითაც. სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი თანაბრად ვრცელდება , როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით ხელის აღების ფაქტებზე.

ნებაყოფლობით ხელისაღება აქტიური მოქმედებით შესაძლებელია მაშინ , როდესაც დამნაშავემ გარკვეული პირობები შექმნა დანაშაულის ჩასადენად , მაგრამ ამის შემდეგ მან გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და ამის გამო მან განახორციელა მართლზომიერი მოქმედება .

ხოლო რაც შეეხება დანაშაულზე ხელის აღებას პასიური მოქმედებით, ის მაშინაა სახეზე,როცა დამნაშავე გადაიფიქრებს დანაშაულის შემდგომ განხორცილებას და აღარ იმოქმედებს .

ადრეულ ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო პოზოცია , რომლის მიხედვითაც, ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია , როგორც დაუმთავრებელი , ისე დამთვებული მცდელობის სტადიაზეც.[33]თანამედროვე სისხლის სამართლის მიხედვით კი, დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დამნაშავეს შეუძლია ხელი აიღოს როგორცაქტიური, ისე პასიური ქმედებით .[34]

6.4 **ნებაყოფლობით ხელის აღება უვარგისი მცდელობისა და ხელშეშლილი მცდელობის დროს .**

როდესაც დამნაშავეს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე აქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა , მხოლოდ ამ შემთხვევაში ატარებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ნებაყოფლობით ხასიათს. დამნაშავემ ან ბოლომდე უნდამიიყვანოს დაწყებული საქმე და სისრულეში მოიყვანოს დაწყებული დანაშაულებრივი ქმედება, ან გამოიყენოს შესაძლებლობა და უარი თქვას დანაშაულზე . ანუ დამნაშავემ იცის იმის შესახებ , რომ ის ნამდვილად ჩაიდენს დანაშაულს თუ ეს სურს და არანაირი წინაღობა არ არსებობს მისი ქმედების შესაჩერბლად , მაგრამ როდესაც მას ეს არ უნდა და უარს აცხადებს დანაშაულის დამთავრებაზე და სისრულეში მოყვანაზე, ამ შემთხვევაში ის ახორციელებს ნებაყოფლობით ხელის აღებას . მაგრამ იმ შემთხვევაში , როდესაც დამნაშავეს უნდა დანაშაულის ჩადენა , მაგრამ ის ფიქრობს , რომ ვერ შეძლებს ამის გაკეთებას ობიექტური მიზეზების გამო , მაშინ ადგილი არ ექნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელისაღებას.

[33]ტურავა 2013. გვ 316

[34]დვალიძე , ზოგადი ნაწილი (2007) გვ, 178

ხელშეშლილი მცდელობის დროს შეუძლებელია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება .თუ სახეზე არ არის ხელშეშლილი მცდელობა უნდა დადგინდეს დამთავრებულია თუ დაუმთავრებელ მცდელობა . დამნაშავის წარმოდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეშლილი მცდელობის დროს . ხელშეშლილი მცდელობა მცდელობის თვისობრივი მახასიათებელია .

როდესაც დამნაშავე შეცდომას უშვებს ობიექტურ გარემოებებში და მას ჰგონია,რომ გააჩნია ობიექტური შესაძლებლობა რათა განახორციელოს შედეგი , ამის მიუხედავად კი ის წყვეტს დანაშაულებრის საქმიანობას , ამ შემთხვევაში ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან , დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო.

როდესაც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია ობიექტური არარსებობის გამო საქმე ეხება დანაშაულებრივი მიზნის მიუღწევლობას .დანაშაულებრივიშემადგენლობისგანხორციელება სამართლებრივად შეუძლებელი ხდება დანაშაულებრივი მიზნის მიუღწევლობის დროს . შესაძლებელია ეს გამოიწვიოს მესამე პირების ჩარევამ, დამნაშავის პანიკაში ჩავარდნამ ან სხვა მიზეზებმაც.

ხელშეშლილი მცდელობის დროს საყურადღებოა დამნაშავის წარმოდგენის ფაქტი . აქცენტი უნდა გაკეთდეს მის წარუმატებლობაზე , ხოლო ყურად საღები არ არის დანაშაულის დამთავრების ობიექტური შეუძლებლობა .

მცდელობის წარუმატებლობის დროს შემდეგი შემთხვევები ხასიათდება :

1. დანაშაულებრივი მიზნის მიუღწევლობა
2. დანაშაულებრივი გეგმის წარუმატებლობა

დანაშაულებრივი მიზნის მიუღწევლობის დროს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია , ვინაიდან თავიდანვე არ არსებობს სასურველი ობიექტი. ასევე ეს ის შემთხვევაა , როდესაც დანაშავე დაზარალებულის წინაშე გარკვეულ შიშს განიცდის . ასევე როდესაც სხვა პირების ჩარევი გამო დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება სამართლებრივად შეუძლებელია .

დანაშაულებრივი გეგმის წარუმატებლობის შემთხვევის დროს კი, დანაშაულის განხორციელება შესაძლებელია . მაგრამ ამ შესაძლებლობის დახმარებით არ

მიიღწევა დასახული მიზანი . მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულებრივ გეგმას არ შეესაბამება დანაშაულის ობიექტი მისი იდენტურობაში შეცდომის ან გაურკვევლობის გამო.

დანაშაულებრივი გეგმის წარუმატებლობის დროს დანაშაულის განხორციელება სავსებით შესაძლებელია , მაგრამ ამით ვერ მიიღწევა დასახული მიზანი .

გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით , განსაღვრულია რომ როდესაც მოსამზადებელი დანაშაული ფორმალურად უკვე დამთავრებულია , ამ შემთხვევაში უკვე აღარ არსებობს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა . ზოგიერთი დანაშაული მომზადების სტადიაშივე ითვლება დამთავრებლად. ესენია :სახელმწიფოს საიდუმლოების გამხელა (ამასთან დაკავშირბით ინფორმაციის შეგროვება , შეთქმულების მოწყობა და დაგეგმვა) ასევე სახელმწიფო გადატრიალების მომზადება . ეს შემხვევები მომზადების მომენტიდანვე ითვლება დამთავრებულად , შესაბამისად ამ მაგალითების შემთხვევაში , არ არსებობს შესაძლებლობა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ. ვინაიდან დანაშაულზე ხელის აღება ხორციელდება მხოლოდ მზადებისა და მცდელობის სტადიაზე, სხვა შემთხვევაში აღარ არსებობს მისი განხორციელების შესაძლებლობა.

განგრძობად დანაშაულებში შეუძლებელია ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება . იგი პირველივე აქტის განხორციელების მომენტიდან ითვლება იურიდიულად დამთავრებულ დანაშაულად. განგრძობადი დანაშაულების განხორციელბისას იურიდიული დამთავრების და ფაქტობრივი დასრულების ეტაპები გამოიყოფა , რაც განგძობადი დანაშაულის ჩადენის უკანასკნელი აქტის განხორციელების მომენტს უკავშირდება. განგრძობადი დანაშაულები სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავე უშუალოდ დაიწყებს დანაშაულის ჩადენას .განგრძობადი დანაშაული უკანასკნელი აქტის განხორციელების მომენტიდან ჩაითვლება ჩადენილად, რა დროსაც იურუდიული დამთავრების და ფაქტობრივი დასრულების ეტაპები იკვეთება

დენადი დანაშაულების დროს სისხლის სამართლის ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება იმის შესახებ , რომ ასეთი დანაშაულების დროს ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ მოსამზადებელ სტადიაზე .[35]

[35]სულაქველიძე 1992, გვ156

თავი 7

პროვოკაცია და ნებაყოფლობით ხელის აღება

დანაშაულის პროვოკაცია ის შემთხვევაა, როდეცას ერთი პირი სხვას აქეზებს დანაშაულის ჩასადენად , რადგან შემდეგ მანვე ამხილოს თავისი გაქეზებული პირი, დანაშაულის ჩადენაში. სისხლი სამართლის ლიტერატურაში ასეთი პირი ცნობილია აგენტ-პროვოკატორის სახელწოდებით . საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145 - ე მუხლი აყალიბებს ნორმას ამ თემასთან დაკავშირებით , რაც გამოიხატება შემდეგში , „ დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგისხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით“ .

დანაშაულის პროვოკაციის დროს გამოიყენება ე.წ . ფიქციის მეთოდი, რა დროსაც პროვოკატორი ფაქტობრივად წამქეზებელია, თუმცა იურიდიულად ის პროვოკაციის ამსრულებელია .[36]

დამყოლიებელი მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, დაყოლიებული კი იწყებს იმ ქმედების შესრულებას რომლისკენაც წააქეზა მან.

დაყოლიება ყოველთვის წამქეზებელსა და ამსრულებელს შორის ხორციელდება, რაც მოითხვს მათ შორის კომუნიკაციის არსებობას. ამ დროს წამქეზებელი ფსიქიკურ ზეგავლენას ახდენს ამსრულებელზე. წამქეზებელი კონკრეტულად მიზანმიმართულად მოქმედებს იმ განზრახვთ , რომ ამსრულებელში გამოიწვიოს მონდომება, ინტერესი და გადააწყბეტინოს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას . ამ დროს წამქეზებლისა და ამსრულებლის ნება , ორივესი ერთად ,მიმართული უნდა იყოს საერთო დანაშაულებრივი შედეგისაკენ . [37]

---

[36]ნაჭყებია 2011. გვ 132

[37]კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, ირაკლი დვალიძე,გიორგი თუმანიშვილი ,ნინო გვენეტაძე , თბილისი 2015.

ვიდრე დაყოლიებული არ მიაღწევს დანაშაულის მცდელობის სტადიას, დანაშაულის პროვოკაციის დროს პროვოკატორს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება არ უნდა წაერთვას .

განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის დროს ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია , განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში.

მაშ ასე, ნებაყოფლობით ხელის აღებისას სუბიექტური პირობების დახასიათების დროს თვალნათლივ ჩანს , რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად ნებაყოფლობითობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დასკვნა

დაუმთავრებელ დანაშაულზე მსჯელობა გვაძლევს შესაძლებლობას მრავალმხრივ საინტერესო დასკვნების გამოსატანად. სხვადასხვა თეორიების მიმოხილვის დროს კარგად გამოიკვეთა საკითხი დაუმთავრებელ დანაშაულზე და მის დასჯადობასთან დაკავშირებუთ ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში .

დანაშაულის მომზადების საკითხთან დაკავშირებით,გამოიკვეთა, რომ მისი დასჯაბოდისათვის ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჯერდება შერეულ მოდელზე . იგივე შეიძლება ითქვას დანაშაულის მცდელობასთან დაკავშირებით.

ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალს დამთავრებული დანაშაულის კლასიფიკაციის გათვალისწინეიტა და მასზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ბევრი საერთო აქვთ.

ქართულ დაგერმანულ სამართალში დაუმთავრებელი დანაშაული იყოფა შემდეგ სტადიებად : დანაშაულებრივი განზრახვის გამომჟღავნება , დანაშაულის მომზადება ,დანაშაულის მცდელობა , დანაშაულის მცდელობა და დანაშაული დამთავრება .

დასჯად სტადიას არ წარმოადგენს განზრახვის გამომჟღავნება , როგორც ქართულ ასევე გერმანულ სამართალშიც.

გენერალური მომზადების დასჯადობამ გამოავლინა ბევრი პრობლემური საკითხი, ასევე გამოაჩინა მისივე დასჯადობის არაპრაქტიკული ხასიათი.

გერმანულმა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ გენერალური დასჯადობის მომზადებაზე უარი განაცხადა . გერმანული სისხლის სამართალი აღიარებს დასჯადობის შერეულ მოდელს.

დანაშაულის მცდელობის თემას განსაზღვრავს საქართველოს სისხლს სამართლის კოდექსის მე-19 მუხლი და გერმანიის სისხლს სამართლის კოდექსის 22 -ე პარაგრაფი.

დანაშაულის მცდელობის შესახებ განვითარებული შეხედულებების კვლვამაჩვენა, რომ ობიექტური თეორიები იყო გაბატონებული თავდაპირველად საქართველოსა და გერმანიის სისხლის სამართალში.მოგვიანებით კი ჩამოყალიბდა სუბიქტური თეორიები. თანამედროვე ქართული და გერმანულისისხლის სამართალი კი არ სცნბს არც ობიექტურდ არც სუბიექტურ თეორიებს და არჩევანს აჩერებს შერეულ თეორიებზე .

ნაშრომში მოცემულმა მაგალითებმა აჩვენა , რომ განზრახვა სუბიექტური ნიშანია, რომელიც ქმნის მცდელობის დასჯადობის სუბიექტურ საფუძველს . გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი კი მიუთითებს განზრახვის მაგივრად „წარმოდგენაზე“ .

იმ შემთხვევაში , თუ არ დასტურდება დანაშაულის ჩადენის მომენტში დამნაშავის განზრახვა , დანაშაულის მცდელობას არა აქვს ადგილი .

ობიექტური ნიშნით განსხვავდება დანაშაულის მცდელობა დამთავრებული დანაშაულისაგან .

ქართულს სისხლის სამართლის დოგმატიკაში მცდელობის ათვლის წერტილს განსაზღვრავს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მომენტის წინ მდგომი ქმედების მომენტი.

ნაშრომში საუბარია უვარგის მცდელობაზე.ის მცდელობის ალტერნატიული ცნებაა. რომელიც ვიწრო გაგებით გულისხმობს დასჯად უვარგის მცდელობას გულისხმობს , ფართო გაგებით კი დასჯად უვარგის მცდელობასტან ერთად მოიცავს დაუსჯელ უვარგის მცდელობასაც. უვარგისი მცდელობისაგან იმიჯნება ხელშეშლილი მცდელობა და წარუმატებელი მცდელობა

კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე არ ისჯება მოჩვენებითი დელიქტი.რა დროსაც დამნაშავეს შეცდომით ჰგონია , რომ არღვევს სამართლის ნორმას , სინამდვილეში კი ასეთი ნორმა საერთოდ არ არსებობს . მოჩვენებითი დელიქტი შეცდომის აკრძალვის დროს ფასდება.

დაუმავრებელი დანაშაულის მესამე სახეს დანაშაულზენებაყოფლობიტ ხელის აღება წარმოადგენს , რა დროსაც მცდელობისას წარმოშობილი საფრთხე ქრება . როგორც ნაშრომშია მოცემული ნებაყოფლობით ხელი აღბა ავტნომიური მოტივების საფუძველზე ხორციელდება.

ნაშრომში ასევე კარგად არის მოცემული ცნება თანამონაწილეობასთან დაკავშირებით . როგორც მქმედებიტ, ისევე უმოქმედობით არის შესაძლებელი თანამონაწილეობის, თანაამსრულებლობისა და შუალობიტი ამსრულებლობის შემთხვევაში დანაშაულზე ხელის აღება.

ნებაყოფლობით ხელის აღება განგრძობად და დენად დანაშაულებში გავრცელებული შეხედულებების გათვალისწინებით დაუშვებელია.

რაც შეეხება პროვოკატორს, მას დანაშაულზე ნებაყოფლობიტ ხელის აღება შეუძლია მანამ, სანამ იგი მიარწევდეს მცდელობის სტადიას ,ანუ დანაშაულის მომზადების სტადიაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას , რომ დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა დანაშაულებრივი ქმედებებია, რომლების რეგულირდება სისხლის სამართლის კანონდებლობით გათვალისწინებული ნორმებით . რა დროსაც ყველაზე მეტად საყურადღებოა განზრახვის გათვალისწინება და დადგენა მიზეზ

შედეგობრიობის , რათა შემდეგ დადგეს სისსხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი .

გამოყენებული ლიტერატურა

1. 1.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
2. ლაშა თვაური , კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის , ნაშრომი , თემა: დანაშაულებრივ ქმედებათა ფსიქოსამართლებრივი ანალიზი .
3. გამყრელიძე ო, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2008
4. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში , თბილისი 2010
5. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2008
6. თინათინ წერეთელი , დანაშაულის მომზადება და მცდელობა ,1961
7. https://www.myadvokat.ge/ka/blog/4132
8. http://www.supremecourt.ge/about-job-information/